ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ. 6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ. 1920 Წ.

ᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

ხელმოწერის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი მეოთხე გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15X2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ხელნაწერები არ დაიბრუნება. რედაქცია და კანტორის ადრესი: გრიბოედოვის ქ. 4, შესასვლელი რუსთაველის ქუჩის მე-18-დან.

№ 28 ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ № 28

მწუხარებით გულმოკლული მეუღლე აბესალომ გიგას ძე ლეჟავა, პატარა შვილებით, დედამთილი სალომე, მულები მარიამ მიქელაძისა ქმარ შვილით, ნინო (ნინიჩკა) გიგოს ასული, მულის შვილი თამარა ბერძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი

ᲜᲘᲜᲝ (ᲜᲘᲜᲣᲪᲐ) ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ-ᲚᲔᲟᲐᲕᲐᲡ

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფელ დიდ ჯიხაიშში შაბათს, თებერვლის 7 (ახ სტ). (440 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ზუგდიდის მაზრის სამიჯნო განყოფილების მიწის მზომელები: ნოე ჯიბლაშვილი, გერონტი შილაძე, ნოე აბზიანიძე, შალიკო ზამთარაძე და იერასიმე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი ამხანაგის მიწის მზომელის

ᲐᲜᲓᲠᲣᲨᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედარი დასვენებულია ქ. ზუგდიდის სობოროში. დაკრძალვა არ მოხდება მშობლების ჩამოსვლამდე. (ფ 1—1)

გიმნაზიის და კურსების დამთავრებული ივ. მარკოზის ძე მაჩაიძე— დამწუხრებული მასწავლებელი აუწყებს ყოფილ 8 კლასის მოწაფეთ საყვარლად ცნობილ ძვირფასს, ნიჭიერ მშრომელი მეზობლის და ამხანაგის 1919 წელს მათთან კურს დამთავრებულის

ᲐᲜᲗᲘᲛᲝᲖ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალებას. (412 1—1)

კარლო და ალექსანდრე, კალენიკე და შუშანა შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა საყვარელი ძმა, მეორეთა ძვირფასი მამამთილი, უკანასკნელთა დაუვიწყარი მამა

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲑᲔᲥᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

დასაფლავება შაბათს, 7 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე, სოფ. ... ფუთში (შარაპანის მახრა). (6 2—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ფატი და შვილი თამარა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 7 თებერვალს ფოხაშურის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი მეუღლის და მეტად საყვარელი მამის

ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲑᲔᲥᲣᲥᲐᲡ ᲫᲔ ᲓᲝᲚᲘᲫᲘᲡ

სულის მოსახსენებლად. (449—1—1)

ᲛᲘᲬᲐᲗ-ᲛᲝᲥᲛ. ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲛᲘᲯᲜᲐᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

აწვევს მიწის მზომელთ თავისუფალ ადგილებზე რესპუბლიკის ყველა სამაზრო სამიჯნაო განყოფილებებში გარდა თფილისისა. სამსახურის პირობების გაცნობა შეიძლება სამიჯნაო განყოფილების კანცელარიაში (ყოფილი კადეტთა შენობა) 9—3 საათამდე. (448—3—1)

15 თებერვალს, 1920 წ. ქ. თფილისში საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე დილის სრულ 10 საათზე დაიწყება

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲔᲗᲐ

Ყ Რ Ი Ლ Ო Ბ Ა

დასწრება შეუძლია ყველა მეთამბაქოეთ, აგრონომებს და მოღვაწეთ, ვისაც დამოკიდებულება აქვს მეთამბაქოეობასთან. [illegible]. კოოპერატიული და საკრედიტო დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ წარმომადგენელთ.

ვინათვან ყველას პროვინციიდან წარმომადგენლობის მოსაწვევება ადგილებიდან. ბარათი და ცნობების მიღება შეიძლება ქვემო მოყვანილ მისამართით დილის 10 საათიდან 2 საათამდე. თფილისი, გრიბოედოვის ქ. № 2 ტელ. 6—43.

(438—6—1) საორგანიზაციო კომიტეტი.

ამა თებერვლიდან 1920 წ. ქ. თფილისში, დამფუძნებელ კრების ქუჩაზე № 4. გაიხსნება სავაჭრო სამრეწველო-საკომისიო სახლის

„ძ მ უ რ ი ს ა ქ მ ე ს“

Კ Ა Ნ Ტ Ო Რ Ა

დილის 10—3 საათამდე შეიძლება ნახვა სხვადასხვა საქონლის ნიმუშებისა: სხვადასხვა მანუფაქტურისა და გალანტერეისა, ფეხსაცმელებისა, ხალიჩებისა, ხურდისა, ხელთათმანებისა, ბლოკნოტებისა, თბილი პერანგებისა, დამზადებული ტანსაცმელებისა, ხელსაწყოების სხვადასხვა ზომისა და ღირსებისა, მინის ჭურჭლისა, ნავთლამპისა, სხვადასხვა ზომის და ღირსების მოქლონებისა, ლენტებისა, ხაზინიფერთისა, ქლორისა, ლურსმნებისა და სხვადასხვა ნივთებისა. საქონელი ინგლისიდან არის მიღებული და შემდეგაც ფირმას ექნება ხელსაყრელი კავშირი. საქონელი იყიდება დიდ და პატარებით, როგორც ბითუმად ისე საცალოდ და შეიძლება გაცვლაც სხვადასხვა ნედლ საქონელზე. იქვე იღებენ სხვადასხვა საკომისიო მინდობილებას. მისამართი ფოსტით: ქ. თფილისი, დამფუძნებელ კრების ქუჩა, № 4, კანტორა „ძ მ უ რ ი ს ა ქ მ ე“.

(444—2—1) ფირმა „ძმური საქმის“ გამგეობა.

ექიმი ბ. ი. ოქრომჭედლიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ხალხში 4—6 საათამდის. რუსთაველის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

ᲑᲐᲥᲝᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘ

ქ. ბაქო დიდი და რთული კვანძია აღმოსავლეთის. აქ ინასკვება მრავალი უცნობი და ნაცნობი ძალები; მით უმეტეს, რომ ეს არის წყარო აურაცხელ სიმდიდრის და წარმოების მთავარი საფუძვლის—ნავთის. თავის გეოგრაფიული მდებარეობითაც ბაქო გზაჯვარედინია აზია-ევროპის. იგი გასავალი კარების წინ სდგას და ამით თავისკენ იზიდავს ორივე დიდ ქვეყანას მსოფლიოსას—ევროპას და აზიას.

ბაქო საგანია ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესების, იგი ერთი დიდი რგოლია, რუსეთის—ოსმალეთის და სპარსეთის ერთად გადამბმელი, მარა არა ყოველთვის სამეგობროთ.

ამ ქამათაც, ისე როგორც მთელი ამ რევოლუციის ხანაში ბაქო უდიდესი მნიშვნელობის და უდიდესი ყურადღების მიმპყრობი იყო.

დღეს გვინდა შევეხოთ მკითხველის ყურადღება ორ მთავარ ინტერესზე. ოსმალეთის და რუსეთის. ეს ორი მეზობელი სახელმწიფო ბაქოს გარეშე, არ შეიძლება ისეთი გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი, როგორც მოსკოვში გამოსთქვამენ ახალგაზრდა ოსმალთა ემისრები, ან საბჭოთა კომისრები. პირველნი ბოლშევიკებს უყურებენ კომუნისტებად, კომუნისტები მათ აჯერებენ, რომ დიდ-გვარდ სამუსლიმანოს მცველნი არიან. მაგრამ არსებითად ორივე მიისწრაფის განსაზღვრულ მიზნისაკენ, რომელსაც მეგობრობასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

საბჭოთა რუსეთს სურს ოსმალეთი ანტანტის წინააღმდეგ აამხედროს, განსაკუთრებით ინგლისს ინდოეთის შედით დაემუქროს და ამით ეს მეტოქე მტერი ჩამოიშოროს, უკან დაახევინოს.

ოსმალეთი, რომელსაც დღეს განაწილებას უპირებენ, ცდილობს სტამბოლიდან, სადაც ევროპელები მბრძანებელნი არიან, თავის მოქმედების ცენტრი კავკასიისკენ გადმოიტანოს და აქ გამაგრებულმა სტამბოლი დაიბრუნოს. ახალგაზრდა ოსმალთა იდეა, დიდი სამუსლიმანო სახელმწიფოსი, რომელიც უნდა შეიცავდეს ნახევარ აზიას და დიდ ნაწილს რუსეთისას, დღესაც არ დავიწყებიათ. ამ ქამათაც მათ ეს დაუძლეველი ზრახვები ასულდგმულებენ.

და ამ ორი პარტნიორის მოკავშირეთა შუა სდგას მუშათა კლასი ბაქოსი, რომლის გამოყენებას თავის იარაღად ორივე მხარე ცდილობს.

ბოლშევიკები დაუყოვნებლივ სოციალიზმის სახელით, ნური ფაშები დიდი ოსმალეთის სახელით.

მაგრამ მოსკოველი მოკავშირენი ბაქოში ამ კავშირს ვერ იჩენენ. ოსმალეთის ფაშები ინტელიგენციასთან ერთად გლეხებს აწვევენ სამღვთო ომის გამოსაცხადებლად. ბაქოს პროლეტარიატი რუსეთისკენ იწევს ნავთის მისაწოდებლად. ფაქტიურად საბჭოთა რუსეთთან შესაერთებლად. ხოლო აზერბეიჯანი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამ ორ ძალას შორის ქანაობს, თავის დამოუკიდებლობასაც სურს და ორი მოქიშპეს მორიგებასაც. ცხადია ასეთი მდგომარეობა ვერაფერს შექმნის გარდა სისტემატიური კრიზისებისა.

და ჩვენ მართლაც ვხედავთ ამ კრიზისების ნიშნებს. იგი ძლივს გუშინ დაიმალა და დღეს კვლავ წამოყო თავი. როგორი უნდა იყოს ასეთ პირობებში ტაქტიკა ბაქოს პროლეტარიატის?

ჩვენ გვგონია, დიდი შეცდომა იქნება ბაქოს მუშების მხრივ ასეთ პირობებში დიდი ავანტიურის დაწყება და იმ უსაფუძვლო ლოზუნგების წამოყენება, რომელიც მსოფლიო იმპერიალიზმის დამხობას და საოცნებო სოციალიზმის დამყარებას შეიცავენ. საკითხი დგას არა სოციალიზმზე, არამედ უფრო მახლობელ და მიუცილებელ საჭიროებაზე. ოსმალთა ურდოების თარეში, თუ ევროპიელების გზა—ე. ი. სოციალიზმისკენ გზის დახშვა, თუ ამ გზის ფართეთ გაღება და ძლიერი ნაბიჯით საერთაშორისო ძმობისკენ გზის გაკვეთა.

აქ ბაქოს სინამდვილეში აბრძვის აზიის ბარბაროსობა თავის ფეოდალური ლტოლვილებებით, რუსეთის რევოლუციის ნამუსრევ ინტერესებთან, დემოკრატიის, ხალხის კულტურულ და ეკონომიურ განვითარების პირობებთან.

და ბაქოს როლი ამ ბრძოლაში უნდა გადამწყვეტი იყვეს, ყოყმანი შეუძლებელია.

სამწუხაროთ, ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. იქ ოსმალთა ინტრიგანტებს ეტმასნება ბოლშევიკური ექსპერიმენტები. იქაური მოკავშირეები მზათ არიან ყოველ წუთს გამოიწვიონ ბაქოს მუშები ისეთ ბრძოლისაკენ, რომლის შედეგათ ისინი ტელათ ფაშების იდუმალ ზრახვათა განმახორციელებელი შეიქნებიან. ამ უკანასკნელებმა იციან მაღალი ფასი საბჭოთა ლოზუნგების. რეალურათ ისინი დგანან ბაქოს ნიადაგზე და არა ლოზუნგების მატარებელნი. მაგრამ მათ თავისუფალ მოქმედებას რამდენიმეთ, მხოლოთ რამდენიმეთ ზღუდავს აზერბეიჯანის ლტოლვილება დამოუკიდებლობისადმი. და ბაქოს მუშები მათ ესაჭიროებათ ამ ლტოლვის ჩასაქრობად სხვისა ხელებით. ბაქოს მუშები მათი აზრით უნდა გახდენ დამოუკიდებელ აზერბეიჯანის მესაფლავენი, ხოლო ნური ფაშები მოგვევლინებიან მას მესხე მხსნელებათ, და ამით მოისყიდიან რა ხალხის გულს, ადვილათ გაიყოლებენ თავის პანისლამისტურ მიზნებისაკენ, რომლის სათავეში ისინი ცდილობენ მოქცევას—ოსმალეთის სახელით და არა აზერბეიჯანის, როგორც ეს უნდათ მზადერთ აზერბეიჯანელებს.

ამ რიგათ რთულ მდგომარეობაში განსაზღვრული ბაქოს პროლეტარიატი ადვილათ დაკარგავს წონასწორობას და მისი ყოველი ნაბიჯი მიმართული თითქოს კონტრ-რევოლუციის და ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, გახდება ხმარით თვით დემოკრატიის და ტატით ოსმალთა ველურობისა.

ჩვენ გვგონია, რომ ბაქოს პროლეტარიატს ამ შემთხვევაში ის ერთად ერთი აშკარა გზა აქვს, რომელსაც ადგია დანარჩენი მუშათა კლასი ამიერ კავკასიის რესპუბლიკების. იგი უნდა გაიმიჯნოს ამ მავ წითელ მოკავშირეთაგან. იგი უნდა დადგეს საკუთარ კლასობრივ ნიადაგზე. ოსმალთა ფაშების და მათი მოკავშირე ბოლშევიკების აფიშის ნაცვლათ მან უნდა აიღოს ხელში წითელი დროშა მუშათა სოციალდემოკრატიის, რომელსაც აშკარია დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ.

მხოლოდ ასეთი დროშით გადარჩება იგი უაზრო სისხლის ღვრას და ხალხის დამარცხებას. დღევანდელი მისი ლოზუნგები კი, რომლითაც ის თითქოს მეტმარცხენეობს, მხოლოდ მარჯვნივ ნაგდებს მას ხანგრძლივ რეაქციის მორევებში.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

გამარჯვებული საფრანგეთი ოცნებობდა არა მარტო ელზას-ლოთარინგიის დაბრუნებაზე, რეინის ნაპირებზე გაბატონებაზე, ათეულ მილიარდების კონტრიბუციაზე, არამედ იმაზედაც, რომ მისი მეთაურობით შექმნილიყო ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიური კომპლექსი, რომელიც გაბატონდებოდა მთელს კონტინენტზე. ასეთი კომპლექსის შექმნა მით უფრო ადვილად მიაჩნდა საფრანგეთს, რომ მისი მეგობრების პოლიტიკურ ეკონომიური სქემაც მეგულისხმობდა დედა-მიწის ზურგზე გაბატონებას.

ორგანო, რომელსაც პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინა მოკავშირეთა სქემა, იყო უმაღლესი საბჭო, რომელშიაც შედიოდენ საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა, იტალია და იაპონია. ხუთთა საბჭო-ს უნდა აეშენებინა თვალწარმტაცი სასახლე, მაგრამ მთელი ევროპის მუშაობის შემდეგ—როგორც სწერს ერთი გავლენიანი ფრანგული გაზეთი—ცოცხალი თუ მკვდარი მნიშვნელოვანი ფასადის შექმნაც ვერ შესძლეს. არქიტექტორთა ინტერესთა წინააღმდეგობამ ადრე იჩინა თავი. პრეზიდენტ ვილსონის ამერიკაში დაბრუნებით და მის ადგილას ჯერ პოლკოვნიკ ჰაუსის და შემდეგ ბ. პოლკის დანიშვნით უკვე იწყებოდა ხუთთა საბჭოს რღვევის პროცესი. ინგლისმა ამ რღვევის პროცესის დამთავრებამდე, რომელიც ნიშნავდა მთელი მისი პოლიტიკურ-ეკონომიური სქემის გაკოტრებას, მოლაპარაკება გამართა ბოლშევიკურ რუსეთთან და ამით მოსალოდნელი საფრანგო—რუსეთ გერმანიის კავშირი—საფრანგეთის თუ ინგლისის წინააღმდეგ დროებით მაინც გაანელა. და მეორეს მხრივ დიპლომატიური ფანდების წყალობით დაირიგა ჯობი საფრანგეთს გამოსტაცა. საფრანგეთის იმპერიალისტთა ბედადი პოლიტიკური ასპარეზს ჩამოშორდა. მრისხანე იმპერიალისტები უკანასკნელ ხანებში მათთვის არა ჩვეულებრივ ენით ალაპარაკდენ, მათი ორგანოები „ეკო დე პარი“, „ჟურნალ დე დებატ“, „მატენი“ და სხ. გულმოწყალებულ იმპერიალისტურ პოლიტიკის წარმოების წინააღმდეგ ილაშქრებენ. ეტყობა მათი პოლიტიკის გაკოტრების ხანა ახლოვდება.

ი. ხალაყაია.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲝᲑᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ზუგდიდის სამაზრო ერობის არჩევნები დასრულდა. გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. გაიყვანეს ხმოსანთა აბსოლუტიური უმრავლესობა.

დღეიდან ზუგდიდის მაზრის ერობაში ბოლო ეღება იმ უპასუხისმგებლო პირების პარპაშს, რომელმაც ამდენი ზარალი და ზიანი მიუტანა მთელ მაზრას.

დღეიდან ზუგდიდის სამაზრო ერობაში იწყება ახალი ხანა და ეჭვი არაა, ერობის დღევანდელი მესვეურები გაამართლებენ იმ ნდობას, რომელიც მათ ხალხმა გამოუცხადა.

ზუგდიდის დამარცხება ნიშნავს დამარცხებას იმ ფსიხოლოგიისას, რომელიც მბრძანებდა პირველ არჩევნების დროს და რომელმაც მათ გამარჯვება არგუნა. ეს ის დრო იყო, როცა გაბოლშევიკებული ჯარისკაცები მხოლოდ ყინწვების ყაყანში და წვრილ-წვრილ ყვირილში ხედავდენ რევოლიუციონერობას. დღეს სრულიად განწყობილება ძირიანად შეიცვალა. ხალხმა შეიგნო საჭიროება და აუცილებლობა სახელმწიფოს, შინაური ცხოვრების მოწესრიგების, რესპუბლიკის განმტკიცების, გარეშე მტრების მოგერიების და, რაც მთავარია, თუ ის ჩამოშორდა იმ პარტიას, რომელსაც გარდა ლაპარაკისა, არაფერი არ გაუკეთებია.

ზუგდიდის გამარჯვება მნიშვნელოვანია იმით, რომ მთავრობის პოლიტიკა მოღის და ხალხის გზის იკვლევს ხალხის შეგნებაში მკვიდრდება. არსად არ იყო ისეთი ცუდი პირობები ჩვენი პარტიის გამარჯვებისათვის, როგორც ზუგდიდში. მიუხედავათ ამისა, ეს გამარჯვება უკვე მოხდა, და ვიმეორებთ, ეს მნიშვნელოვანია იმის, რომ ჩვენი ხალხი მტკიცეთ ადგია და ადგება თავის ქვეყნის ცხოვრების გამაგრების ნიადაგზე და მიჰყვება და გაჰყვება იმ პარტიას, რომელიც ამას ემსახურება.

მარა ეს გამარჯვება აკისრებს ჩვენს ამხანაგებს დიდ მოვალეობასაც. გარდა ერობის საქმეებისა, აუცილებელ საჭიროება პარტიული მუშაობის გაძლიერება. სამწუხაროთ, ამ მხრივ ბევრია საკუთრებელი და ჩვენ ვაქცევთ ამას ზუგდიდელი ამხანაგების ყურადღებას.

მძიმე და რთულია მოვალეობა. მათ უფრო სერიოზული მთელი ძალების ფეხზე დაყენება, რომ ნაკისრი მოვალეობა პირნათლათ იქნას შესრულებული.

დარწმუნებული რომ ახლად არჩეული ხმოსნები სავსებით გაამართლებენ ხალხის ნდობას, უსურვებთ მათ ენერგიის და ნაყოფიერ მუშაობას.....

განი.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

5 თებერვლის სხდომა.

(დასასრული)

კ. ნინიძე (მომხსენებელი). უპასუხებს წინა მოლაპარაკე ორატორებს და ამბობს: ოპოზიციას სრული ნება აქვს, რომელი კითხვაც არ იქნას დასმული, ფართოდ გაშალოს თავისი პროგრამა, სწორედ ბუნებრივი იყო, როდესაც აქ ლლონტმა და შენგელიამ თავის სიტყვებში დეკრეტზე ნაკლებით ილაპარაკეს. სხვათა შორის ლ. ლლონტმა მოგვახსენა, რომ ხალხი დამშეულია, ათასგვარ უბედურებაში ჩავარდნილი, ხოლო მთავრობა არ ეხმარებაო. ეს ამ დეკრეტის საგანს არ შეადგენს, ამაზე სხვა დროს შეუძლია ბ. ლლონტს შემოიტანოს ცალკე წინადადება და თუ დაამტკიცებს, რომ ჩვენს მთავრობას ხაზინაში საწყობებში უწყვია აუარებელი ქონება და აქ რაღაც ბიუროკრატული სული ზის და არ უშვებს, მაშინ ალბათ დამფუძნებელი კრება გამოსცემს დეკრეტს, რომ ეს ქონება ხალხისათვის იქნეს დარიგებული, მაშინ ლლონტის სოციალისტური სინდისიც დამშვიდებული იქნება.

არც შენგელიას და არც ლლონტს არ მიუქცევია ყურადღება 23 თებერვლის დადგენილების შინაარსისათვის, მათ მხოლოდ დაიმახინჯეს ეს. შენგელიამ ვრცლათ მოიყვანა ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილების შინაარსი. ამ დადგენილებას ჰქონდა ერთი გარკვეული აზრი და მიზანი: ხელი შეეშალა მემამულეებისათვის თავის მიწის დანაწილებაში, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მიწის ჩამორთმევა და სახელმწიფო ფონდში გადაცემა. ეს მიზანი სავსებით მიღწეულია და ეს 23 თებერვლის დადგენილება თავის თავად, მექანიკურად უნდა გაუქმდეს. ამ რიგათ, ფორმალურად სავსებით მისაღებია ეს დეკრეტი. რაც შეეხება არსებითად, მე ამაზე ლაპარაკი ზედმეტათ მიმაჩნია, რადგანაც ის დავა, რომელიც აქ ამ დეკრეტის გარშემო ასტეხა ოპოზიციამ, მხოლოდ განმეორებაა იმ დავისა, რომელიც 28 იანვარს, 1919 წ. მოხდა. მაშინ იყო კითხვა დასმული იმის შესახებ, რომ ჩვენს მეურნეობაში შესაძლებელია თუ არა დაუშვათ კერძო საკუთრების მოსპობა. მაშინ პარლამენტმა ეს საკითხი გადაჭრა და დაადგინა, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია კერძო საკუთრების მოსპობა. ჩვენი დეკრეტიც არ სპობს კერძო საკუთრებას, თავისთავად ცხადია, რომ თუ ჩვენ გლეხებს დავუტოვეთ კერძო საკუთრება, იმის უფლებაც უნდა მივცეთ პატრონს, რომ ეს საკუთრება ისე მოიხმაროს, როგორც მას უნდა. ამ უფლებით მარტო მდიდრები ისარგებლებენო, სწერს ლლონტმა, ეს არ არის მართალი. ჩვენ მარტო გაყიდვის უფლებას კი არ ვაძლევთ, არამედ ყიდვისაც. ცხადია, რომ თუ ყიდვის უფლება არ იქნა, მაშინ საიდან უნდა შეიძინონ გლეხებმა მიწა? ვინც ჩვენს ცხოვრებას დაკვირვებული არის, მან ეცოდინება, რომ ჩვენი გლეხობა იმაზე კი არ ცდილობს, რომ თავისი მიწა გაყიდოს, არამედ იმაზე, რომ მიწა შეიძინოს. ამ რიგათ ლლონტის წინადადება ეწინააღმდეგება იმ მდგომარეობას, რომელიც ცხოვრებაში არსებობს. ცხოვრებაში კი თუმცა აკრძალული იყო ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ მაინც არსებობდა მალულათ, ამის დასაძლევათ ლლონტი გვირჩევს მიწის ყიდვა-გაყიდვის მექანიკურათ აკრძალვას. თუ ასე ბრიყვი ხალხი, თუ მას ასეთი ოპეკუნობა სჭირია, მაშინ ის არ არის ღირსი იყოს ხალხი და არც ჩვენი რესპუბლიკა შეეძლება იყოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ საბედნიეროთ ხალხი ასეთი ბრიყვი არ არის და მას ოპეკუნობა არ სჭირია.

რაც შეეხება იმას, რომ მიწების ჩამორთმევა არ მომხდარა, მართალია, ჩამორთმევა იმ გზით არ მომხდარა, რა გზითაც ლლონტი გვირჩევდა. ის გვეუბნებოდა, რომ ყველას უნდა ჩამოერთვას მიწა და გლეხებს ერთი დესეტინაც არ უნდა დაუტოვოთ. ჩამორთმევა თითქმის ყველგან დასრულებულია, დარიგებაც დაწყებულია. მაგ. თფილისის სამაზრო ერობამ 20 ათასი დესეტინა უკვე დაარიგა. ქუთაისის მაზრაშიაც დაიწყეს დარიგება და ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ იქ უმიწო გლეხებს 4—5 ქცევა მიეზომათ.

რაც შეეხება რაჭას, სადაც მიწის სივიწროვეა, იქ მიწის გაფართოვება არავის არ შეუძლია და ჩვენ ასეთ შემთხვევაში ვაწარმოებთ გადასახლების პოლიტიკას. რაც შეეხება სოც.-დემოკრატიული ფრაქციის შესწორებას—ყიდვა-გაყიდვის ნორმით განსაზღვრის შესახებ, ეს არ ეწინააღმდეგება წარმოდგენილ დეკრეტის დედა აზრს, რადგანაც ეს შეზღუდვა დროებითია. ფუზაპელის შესწორება კი საკონსტიტუციო ხასიათისაა და ასე სხვათა შორის მაგ საკითხის გადაწყვეტა არ არის სასურველი.

მეორე მოსმენით განხილვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა. წინააღმდეგ მისცეს ხმა სოც.-რევოლიუციონერებმა და სოც.-ფედერალისტებმა.

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ

ჩვენი კორესპონდენტი გაგრიდან შემდეგს გვატყობინებს:

31 იანვარს აჯანყებულნი შეაჩერა მტრის ძლიერმა საარტილერიო ცეცხლმა და სოჭის რაზმებმა. მიუხედავად ამისა, აჯანყებულებმა სდევნის, თუმცა მსხვერპლით, მაგრამ მაცესტა მაინც დაიკავეს.

მეორე დილით ადრე ქვედა ხოსტიდან—ქვედა რაზმელინოში წინ გაიწიეს.

დღეს

მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენციაზე 10 თებერვალს ლონდონში პირველად დასმული იქნება საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრის საკითხი.

ფრანგული პრესის ცნობით რუმინია და პოლონეთი სთხოვენ ანტანტას დახმარებას ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ელჩების კონფერენციის განცხადებით მოკავშირეთა სახელმწიფონი გადაჭრით უარყოფენ ხმებს, თითქოს მოკავშირენი ხელს უწყობდენ უნგრეთში გაბსბურგების დინასტიის აღდგენას.

ჰოლანდიის მთავრობის ინიციატივით 15 თებერვალს ჰააგაში შესდგება ნეიტრალურ სახელმწიფოთა კონფერენცია.

მოხალისენი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ და აჯანყებულნი მთელი დღე შეჩერდნენ. სოჭის ბედი გადასწყვიტა და გომისის მხარიდან მოწოლილმა აჯანყებულებმა, რომლებიც თვით ქალაქს მოუახლოვდნენ. პირველ თებერვალს მოხალისენი შეუდგნენ სოჭაში თავდაცვის ლიკვიდაციას და მთელი ძალებით დაეჯახნენ ტუაპსის მიმართულების გზის გასარღვევად. ამ დღეს ეს ვერ შესძლეს, ხოლო სოჭიდან გავიდნენ 3 ვერსზე და ბრძოლით იკაფავდნენ გზას. აჯანყებულთა რაზმები გუშინ დილის 6 საათ. შევიდნენ ქალაქში, რომელთაც მიეგებნენ იქვე ტუაპსიდან მოსული ყაზახთა ასეული და შემდეგ 1 პოლკის ერთი როტა და [illegible]. ორი საათის შემდეგ კვლავ დაუდგნენ აჯანყებულნი მოხალისეებს და გუშინ მიაღწიეს თითქმის ლოოსმდე, ხოლო დღეს მხედრავი რაზმები შევიდნენ ლაზარევსკაში. მოხალისეებმა თითქმის ყველაფერი დასტოვეს. სხვათაშორის, საბარგო და სამგზავრო ავტომობილები. ქალაქში თუმცა იყო ზოგი უწესრიგობა, მაგრამ ეხლა ეწყობა.

ადლერისა და ხოსტის რაიონებში სრული წესრიგია. აჯანყებულნი ძლიერ მოიქანცნენ მტერის დევნაში და ამ ჟამათ კომიტეტის ძალას უმთავრესად მოხალისეთა მხრიდან გადმოსული ჯარები შეადგენენ.

დღეს დილის 8 საათზე სოჭას მოადგა ნოვოროსიისკიდან ინგლისის ნაღმოსანი № 78, საიდანაც გადმოვიდა ინგლისელი მაიორი და მოელაპარაკა კომიტეტს. ლაპარაკი მეტად საინტერესო იყო. კომიტეტიდან ელაპარაკნენ სამარინი და ვორონოვიჩი.

ინგლისელებს დიდის პატივით შეხვდნენ კომიტეტში. გაიმართა შემდეგი საუბარი:

კითხვა: დიდი ხანია რაც რუსები სოჭიდან გავიდნენ?

პასუხი: რუსები სოჭიდან არ გასულან, გავიდნენ მხოლოდ მოხალისენი, რომელნიც რუსებმა გარეკეს.

კითხვა: რატომ გარეკეს ისინი მცხოვრებლებმა?

პასუხი: ძალადობისა და რეპრესიებისათვის, რომელიც ხდებოდა დენიკინის მთავრობის ბრძანებით.

კითხვა: შეგიძლიათ თქვენ მოგვითხროთ უკანასკნელი დღის ამბები?

პასუხი: როცა ადლერის და კრასნოპოლიანის რაიონში და ნეიტრალურ ზონაში აჯანყებულებმა მოაწყვეს ორგანიზაცია, გაიმართა თათბირი, სადაც მოწყობილ იქნა მწყობრი შეიარაღებული გამოსვლა. 28 იანვარს დილით ადრე აჯანყებულები ჩამოიშვენ მთიდან და ნეიტრალურ ზონისა და ახშტირის მხრივ შეუტიეს მოხალისეთ. 5 დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენ გავწმინდეთ მთელი რაიონი.

კითხვა: რა მონაწილეობას ღებულობდნენ ბრძოლაში ქართველები?

პასუხი: არც კერძოდ ქართველები, არც ჯარი და არც გვარდია არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ ბრძოლაში.

კითხვა: ჩვენ ვიცით, რომ თქვენს ჯარში ქართველებიც იმყოფებიან.

პასუხი. ჩვენ გვყავს ორი რაზმი ადგილობრივი სოჭაში მცხოვრებ ქართველებისაგან შედგენილი.

კითხვა: არის თუ არა თქვენთან ქართველი ოფიცრები?

პასუხი: არის, მაგრამ ადგილობრივი და საქართველოს სამსახურში არ იმყოფებიან.

კითხვა: როგორია თქვენი პოლიტიკური პროგრამა და როგორ ფიქრობთ შავი ზღვის მიდამოების რუსეთთან შეერთებას?

პასუხი: ჩვენ მზათ ვართ შევუერთდეთ რუსეთს, მაგრამ არა დენიკინისა და ლენინისას. აქ ახსნეს თავიანთი პროგრამა.

კითხვა: როგორ ფიქრობთ თქვენ საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორებას?

პასუხი: ჩვენ სხვის საქმეში არ ვერევით, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ შექმნილ პირობებს ანგარიშს გაუწევთ, საქართველო სწორ გზას დაადგა.

კითხვა: არა სცნობთ თქვენ, რომ გაგრა უნდა იყოს თქვენს ტერიტორიაზე იმისდა მიხედვით, რომ იქ დაბანდებულია რუსეთის კაპიტალი?

პასუხი: დღეისათვის ასე მსჯელობენ. ჩვენ კი სხვანაირათ ვფიქრობთ—არა იმისდამიხედვით, თუ ვისი ფულია დაბანდებული, არამედ—როგორია მცხოვრებლები. გაგრის რაიონში სცხოვრობენ აფხაზები, ქართველები, ცოტა რუსები. საზღვრათ კი ჩვენ ვთვლით მდ. მეხადირს.

კითხვა: სად იყრიდნენ თავს თქვენი ჯარები?

პასუხი: ნეიტრალური ზონის მთებში.

კითხვა: საიდან იშოვეთ თქვენ იარაღი და პატრონები?

პასუხი: ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა 250 შინტოვკით და ცოტა პატრონებით, რომელიც გლეხებს ადრე ჰქონდათ. ეხლა ჩვენ გვაქვს 1000 შინტოვკა, 600 ათასი პატრონი, 16 ტყვიისმფრქვეველი, 3 ზარბაზანი, 3 ავტომობილი და 2 მატორიანი ნავი.

კითხვა: შეგიძლიანთ თუ არა თქვენ შექმნათ ძალა და ოლქში მშვიდობიანობა დაიცვათ?

პასუხი: ვეყრდნობით რა მცხოვრებთა ერთსულოვნებაზე, ჩვენ ამას შევძლებთ.

კითხვა: ჩვენ მზათა ვართ ვიცნოთ თქვენ მიერ შექმნილი გადატრიალება და თქვენს საქმეებში არ ჩავერიოთ, თუ თქვენ მოგვცემთ გარანტიას, რომ დაცული იქნება ტყვე, უცხო ელემენტების სიცოცხლე და ქონება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით იარაღით ჩავერიოთ საქმეში.

პასუხი: ჩვენ ამის გარანტიას ვიძლევით, მაგრამ უნდა მივუთითოთ, რომ, თუ დენიკინი შეეცდება კვლავ შემოვიდეს სოჭის ოლქში, მაშინ ამ გარანტიასაც ფასი არ ექნება.

კითხვა: ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ დენიკინი შეეცდოს სოჭაში შემოვიდეს, მაგრამ დაჟინებით მოვითხოვთ, რომ დაცულ იქმნეს ტყვე ოფიცრებისა და უცხო ელემენტების სიცოცხლე და ქონება.

პასუხი: ჩვენ შევეცდებით ეს შევასრულოთ.

კითხვა: როგორი დამოკიდებულება გაქვთ თქვენ საქართველოსთან?

პასუხი: დღეს დილით ადრე ჩვენ გავგზავნეთ ჩვენი წარმომადგენელი, რომ აცნობოს საქართველოს მთავრობას მომხდარი გადატრიალების შესახებ და იმ მიზნით, რომ მეგობრული დამოკიდებულება დაიჭიროს მასთან.

კითხვა: როგორი დამოკიდებულება გაქვთ ყუბანთან?

პასუხი: ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მაკარენკოს ჯგუფთან, რომ კავშირი შევქმნათ მასთან.

ამ მოლაპარაკების შემდეგ ნაღმოსანი სასწრაფოდ წავიდა ტუაპსეში.

სოჭის ოლქში სურსათის საშინელი სიძვირეა. თითქმის სამჯერ მეტი ფასობს, ვინემ გაგრაში. მაგალითად, პური 15—20 მანეთი ღირს გირვანქა. შესაძლებელია გლეხებმა შემოიტანონ სურსათი, მაგრამ მოხალისეებს ყველაფერი წაურთმევიათ.

დენიკინის მხრივ მოკლულია 80-მდე, დაჭრილები თან წაიყვანეს. აჯანყებულებს მოუკლეს 6, დაუჭრეს 20. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს 1500 შინტოვკა, 500 000 პატრონი, „გრენადერები", ჯარის ტანსაცმელი, ორი საშუალო მატორიანი გემი, ერთი ბოტი და 1000 ყუმბარა. გარდა ამისა, აჯანყებულთ ჩაუვარდათ 30 მილიონათ ღირებული მოხალისეთა მიერ შეძენილი თამბაქო.

გაგრა
თებერვალი 4.

შავი ზღვის შეიარაღებულ გლეხთა მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა, 28 იანვარს გათენებისას შავი ზღვის ლაშქრის სამი რაზმი და მონადირეთა კომანდა მთიდან ჩამოვიდა და მდ. ფსოუზე, ადლერის და გაგრის შუა, მოხალისეთა არმიის პოზიციებს შეუტია. ორი დღის ბრძოლის შემდეგ დენიკინელები დამარცხდნენ და სოჭის გზისკენ დაიხიეს. შავი ზღვის ლაშქარი უკან დახეულებს დაედევნა და 3 თებერვალს დილით ქალაქი სოჭი აიღო. შავი ზღვის გლეხების დავლა იმდენად დიდია, რომ მისი რაოდენობა ნამდვილად ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. ჯერ-ჯერობით კი გამოანგარიშებულია: 4 ზარბაზანი, 16 ტყვიისმფრქვეველი, 700 თოფი და 50 000-მდე ტყვია, წამოუყვანიათ 800-მდე ტყვე, რომელთა უმეტესმა ნაწილმა ლაშქარში ჩაწერის სურვილი გამოსთქვა და ფრონტზე გაიგზავნა. ადლერში, ხოსტაში და სოჭში ხელში ჩაიგდეს ტანსაცმლის და სურსათის საწყობები და აგრეთვე რამდენიმე სამგზავრო და საბარგო ავტომობილი. ფრონტზე იერიშების მიტანის დროს, გლეხთა პარტიზანული რაზმები ადლერის, ხოსტის და დაგომისის რაიონში თავს დაესხნენ მოხალისეთა არმიას ზურგს უკან, რითაც ფრონტიდან შემომტევ რაზმს დიდი დახმარება გაუწიეს. შავი ზღვის ლაშქრის მხრით მოკვდა 6 კაცი, დაიჭრა 20. (საქ. დეპ. სააგ.).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოსი)

5 თებერვალი

ფრანგული პრესის ცნობები.

ჟენევიდან იუწყებიან: ჰოლანდიის მთავრობამ მიმართა შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს და ყველა ნეიტრალურ ქვეყანას და სთხოვა მათ შეიკრიბონ 15 თებერვალს ჰააგაში კონფერენციაზე ვერსალის საზავო ხელშეკრულობით განზრახულ საერთაშორისო სასამართლოს დასაარსებლად. ფედერალურმა საბჭომ გადასწყვიტა მონაწილეობის მიღება და კონფერენციაზე დელეგატების გაგზავნა.

ორშაბათ დილით ელჩების კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია, რომელიც შეატყობინა უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის, სერბო-კროატო-სლოვენიისა და ავსტრიის მთავრობებს: მოკავშირეთა დიდი სახელმწიფოები თავის ვალდებულებად სთვლიან გადაჭრით უარყონ ხმები, რომელსაც ავრცელებენ და რომლითაც სურთ საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეიყვანონ იმის შესახებ, თითქოს მოკავშირენი მზათ იყვნენ ცნონ, ან ხელი შეუწყონ უნგრეთის ტახტზე გაბსბურგების დინასტიის აღდგენას. მოკავშირენი ფიქრობენ, რომ იმ დინასტიის აღდგენა, რომელიც თავის ქვეშევრდომთა შეზღუდულობით გერმანიასთან კავშირით ანხორციელებდა სხვა რასათა მიმართ ტანჯვისა და მონობის სისტემას, არ ეთანხმება არც იმ პრინციპს, რომლისთვისაც იბრძოდნენ და არც იმ შედეგებს, რომლის მიღების საშუალებაც ჩვენ მოგვცა ომმა მანამდე დამონავებულ ხალხთა განსათავისუფლებლად.

ბუდაპეშტიდან მოსული ცნობით ამ კვირაში შეიკრიბება ადმირალ ტრუბრიჯის თავმჯდომარეობით დუნაის კომისია, რათა შეიმუშაონ წესები ამ მდინარეზე ნაოსნობისა.

ბერნიდან იტყობინებიან: ფედერალურმა საბჭომ გამოიმუშავა მოხსენების ტექსტი ხალხთა ლიგის საკითხის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, რათა იგი ფედერალურ ყრილობას წარუდგინოს. ამ მოხსენებას სამშაბათს პალატებში წაიკითხავენ. ფედერალური საბჭო წინადადებას აძლევს პალატებს გადასდონ ამ საკითხის გარჩევა და ხალხთა ლიგის საბჭოსთან მოლაპარაკების შედეგს მოუცადონ.

იანვრის განმავლობაში საფრანგეთმა მეტი სავაჭრო გემები ააშენა, ვიდრე ომიანობის ორი წლის (1916 და 1917) განმავლობაში. ამ თვეში დაამთავრეს 8 გემი; ამ გემთა საერთო წყალწყვა 140 000 ტონს უდრის.

ბალტიის მხარეში მყოფმა მოკავშირეთა სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ გენერალმა ნისელმა კონფერენციას გადასცა თავისი მისიის ანგარიშები. მისი მოხსენება, რომელმაც რამდენიმე პოლიტიკური საკითხი აღძრა, ეწყება ბალტიის საქმეთა კომისიას.

ინგლისელების მიერ განთავისუფლებული ადმირალი ფონ რეიტერი, რომელმაც სკაპა ფლოში გერმანიის ფლოტი ჩაძირა, ფონ გალმსგაუნში მივიდა.

საბუთი, რომელიც ფონ-ლერსნერს ჩააბარეს, ძლიერ მოკლეა. მოკავშირეებმა მხოლოდ მოაგონეს გერმანიას ხელშეკრულების მე-228 მუხლი, რომლის ძალით გერმანიამ მიიღო თავის თავზე ვალდებულება გადასცეს საზღვაო და ხმელეთის ოფიცრები და მოხელეები, რომელნიც უკანასკნელი ომის დროს ბრალად ედებათ ხალხთა უფლებაზე ძალდატანება და ბოროტმოქმედება.

ბუქარესტისა და ვარშავის მთავრობანი მოწოდებას მოწოდებაზე აგზავნიან ანტანტას ბოლშევიკურ საშინელების მოახლოვების გამო, რომელსაც, მათის აზრით, მიზნათ აქვს ერთის დაკვრით ევროპის რევოლუციის გამოწვევა. რუმინეთისა და პოლონეთის მთავრობა ირწმუნება, რომ მათ მოელის საბჭოთა ტალღით დაღუპვის საშიშროება.

მოსკოვიდან რადიო ცნობები გვატყობინებს, რომ ლენინის მთავრობას [illegible] აქვს გადაწყვეტილი უარი სთქვას ყოველგვარ კომერციულ წინადადებაზე მანამდის, სანამ სრული ზავი არ იქნება შეკრული. მოკავშირეთა მომავალ კონფერენციაზე, რომელიც 10 თებერვალს შესდგება ლონდონში, პირველად დასმული იქნება საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრის საკითხი, რომლის შესახებაც ცხარე აგიტაციას ეწევა მთელი დასავლეთ და საშუალო ევროპის სოციალისტური და მუშათა პარტიები. შემდეგი საკითხი იქნება ზავი ოსმალეთთან, მმართველობა იმ ტერიტორიებისა, რომელნიც წინეთ ოსმალეთს ეკუთვნოდა და ფიუმე-ადრიატიკის საკითხები.

ტილები საბჭოთა რუსეთისათვის წარმოადგენენ ძლიერ მტერს, რომელიც მთელ მხარეში ავრცელებს პარტახტიან სახადს. ერთად ერთი იარაღი ტილების საწინააღმდეგოთ არის საპონი, რომელიც საზღვარ-გარეთიდან უნდა შეიტანონ რუსეთში. მარტო საცვლების გამოცვლა არავითარ სარგებლობას არ მოიტანს, თუ ხელები სუფთათ არ იქნა დაბანილი და საცვლები კარგათ დარეცხილი. რუსეთში გაკეთებულ საპონს ბევრი თიხის მასალის ნარევით ღირსება ეკარგება, რომელსაც, რასაკვირველია, არ შეუძლია გაასუფთაოს არც სხეული და არც საცვლები ეხლა. როდესაც ბლოკადა მოიხსნა, საბჭოთა რუსეთი საზ.-გარეთიდან [illegible] სა მოითხოვს საპონს, [illegible] პოვნში რამდენიც უნდა მოითხოვონ იმდენს მისცემენ. გლეხები განაგრძობენ საბჭოთა მიმართ სურსათის ნიადაგზე მოწოდებას ანტანტასთან დაჩქარებული ზავის და ბლოკადის მოხსნის დაპირების სამაგიეროთ მართველობის სიდიდე ხელში უპირავთ გლეხებს და ხვალვე შეუძლიანთ. გადაეცეს კაპიტალისტებს, როგორც კი დროებითი ზავზე ხელი მოწერილი იქნება.

რეველისა და პეტროგრადის შუა ესტონეთის საზღვის ახლოს რკინის გზა აშალეს და ლიანდაგებს მანამ არ შეაერთებენ, სანამ ზავის რატიფიკაცია არ მოხდება.

ავსტრიის კაპიტანი ფუკა, რომელიც გერმანელებს ატყობინებდა პარიზში ყუმბარების გასკდომის ადგილებს, ვენსენში სიკვდილით დასაჯეს ორშაბათს დილით.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. თებერვლის 4. ც. ა. კომიტეტის სესია. სესიის მეორე დღე ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ მოხსენება გააკეთა რიკოვმა. აღნიშნა რა წარმოების დაცემა, მან აზრი გამოსთქვა, რომ ამ მდგომარეობიდან ერთად ერთ გამოსავლათ ჩაითვლება პირველად ყოვლისა ტრანსპორტის გამოსწორება, ნედლი მასალის დამზადება და აგრეთვე ბუნებრივი სიმდიდრის ყოველგვარად მოხმარება. ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარებას ეხლა, გამარჯვების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ნედლი მასალის წყაროები ურალი, ციმბირი და სხვა ეხლა ჩვენ ხელშია. კულტურული ცხოვრების და მრეწველობის აღდგენისათვის ერთად საჭიროა რესპუბლიკის ელექტრიფიკაცია. ჩვენი მიზანია მთელ რესპუბლიკაში დავაარსოთ ელექტრონის სადგურები. რესპუბლიკის ელექტროფიკაციის გამო ს. მხ. ც. კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ადასტურებს ელექტრიფიკაციის გეგმას. ტროცკიმ პირველად დაახასიათა სამხედრო ფრონტის მდგომარეობა, შემდეგ შეეხო სამეურნეო ფრონტს და სთქვა: ამ ფრონტზე, რომელიც დენიკინზე უფრო საშიშია, რომ გამარჯვებული დავრჩეთ, საჭიროა მთელი ძალის შემოკრება. ეს შესაძლებელია შრომის ბეგარის გატარებით, მაგრამ არა სიტყვით, არამედ—საქმით. ბრძოლის საქმეში უნდა ჩაერიოს მშრომელი მასა. პირველად ყოვლისა გლეხობა, ამის გამო გლეხთა შორის უნდა დავიწყოთ ფართე აგიტაცია. ავხსნათ შრომის მობილიზაციის აუცილებლობა იმის გამო, რომ ამ წლის მოუწყობლობამ და ტრანსპორტმა. მხოლოთ მაშინ მიიღებს გლეხი პურში და სურსათში რეალურ ანაზღაურებას ქალაქის მრეწველობის საქონლის სახით. ცხოვრებაში დაარსებული შრომის არმია არის მომავალ შრომის დიდი არმიის პირველი სახე. აუცილებელია სამეურნეო ფრონტზე საბრძოლველად იმ ენერგიისა და ენტუზიაზმის შეტანა, რომელმაც საომარ ფრონტზე ჩვენ გამარჯვება მიანიჭა. მხოლოთ ამ პირობებში ჩვენ გამოვიყვანთ ქვეყანას სიღა-

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

„რუსულ-ქართული ტეხნიკური ლექსიკონი (სიტყვები)", შედგენილი საქ. ტეხნიკური საზოგ. სატერმინოლოგიო სექციის მიერ. ტფ. 1920 წ.

ქართული გამოცემლობა გამდიდრდა ერთ ფრიად მნიშვნელოვან წიგნით, რომელმაც, ჩემის აზრით, დიდი გავლენა უნდა მოახდინოს მთელს ჩვენს მეცნიერებაზე, სწავლა-აღზრდაზე, სკოლაზე და საერთოდ კულტურულ წინსვლელობაზე. მე ვლაპარაკობ საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების მიერ შედგენილ „რუსულ-ქართულ ტეხნიკურ ლექსიკონზე". ლექსიკონი 280 გვერდს შეიცავს, აქედან 106 გვერდი წინასიტყვაობას უჭირავს, დანარჩენი—თვით ლექსიკონს, რომელშიაც 10 000-მდის რუსული ტერმინი ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი.

ახლად გამოსული ტერმინოლოგია შესანიშნავია არა იმით, რომ იგი პირველია ქართულ ენაზე. ქართულ ტერმინოლოგიას უკვე აქვს თავისი ისტორია. ჩვენ ვიცით არა ერთი და ორი ტერმინოლოგიური ცდა. მაგრამ ყველა აქამდის შემუშავებულ ტერმინებს ერთი დამახასიათებელი ნიშანი ჰქონდა: ყოველი სიტყვა, ყოველი ტერმინი ავტორის მიერ შემთხვევით მოფიქრებული იყო. ტერმინების შემუშავებას არ ჰქონდა პრინციპიალური საფუძველი. ერთად ერთი მომენტი, რომელიც შეთხზულ ტერმინების ავ-კარგიანობას სწყვეტდა, იყო ავტორის ნიჭი, ცოდნა, გემოვნება. ამ გზით ტერმინოლოგიის შემუშავება ყოვლად შეუძლებელია, და აქამდის არცა გვაქვს ქართული ტერმინოლოგია.

სულ სხვა ხასიათისაა ტეხნიკურ საზოგადოების მიერ გამოცემული შრომა. [illegible], რომელიც [illegible] ლექსიკონის [illegible] სტების მტკიცე პრინციპზე დამყარებული გარკვეული მეთოდი, რომელსაც ავტორები უცვლელად ადგენან და არსად ღალატობენ. ამ მეთოდის მთავარი საფუძვლები ზედმიწევნით გარკვეულია ლექსიკონთან დართულ წერილში.

დედა-აზრი ამ მეთოდისა, რომელსაც ადგენენ ლექსიკონის შემდგენელნი მუშაობის დროს, თვით ავტორებს ამნაირად აქვთ გამოხატული:

„ნამდვილი მეცნიერული ტერმინოლოგია თავიდან ბოლომდის დედა ენაზე უნდა იყოს გამოხატული, მასში არც ერთი უცხო, ე. ი. სხვა ენებიდან ახლად და ხელოვნურად გადმოღებული სიტყვა არ უნდა მოიპოვებოდეს".

საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგია, თუ დედა-ენაზე გადმოღებული, გაეროვნებული ტერმინოლოგია? პირველი შეხედვით ინტერნაციონალური, საერთაშორისო ტერმინოლოგია შეიძლება უფრო მისაღებად ეჩვენოს ვისმე: თუ გვინდა რაც შეიძლება მალე დავეწიოთ საერთაშორისო მეცნიერებას, უნდა შევითვისოთ საერთაშორისო სამეცნიერო ენაც, ტერმინოლოგიაც, ამბობენ ბევრნი. ეს „ინტერნაციონალური" და ამიტომ პირველ შეხედვით „დემოკრატიული" ცრუ-მორწმუნეობა ადვილათ არის დარღვეული ლექსიკონთან დართულ წერილში.

მართლაც და რა გზით უფრო ადვილი და მალე მისაღწევია კულტურულ ქვეყნებთან დაახლოვება? რასაკვირველია, ეს დაახლოვება უფრო ადვილი და უფრო საფუძვლიანი მაშინ იქნება, როდესაც ჩვენი ერის ფართო მასაში გავრცელდება ევროპიული მეცნიერება. ფართო მასის [illegible] ცოდნის შეთვისება კი მხოლოდ ერთი გზით შეიძლება—მეცნიერების ხალხთან დაახლოვების გზით, მეცნიერების ხალხისათვის გასაგებ ენაზე გადაცემის გზით. ამაში მდგომარეობს მეცნიერების ჭეშმარიტი დემოკრატიზაცია, სხვა გზა ამისათვის არ არსებობს, მეცნიერება უნდა მივაწოდოთ ხალხს მისთვის გასაგებ ენაზე—ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ ამის წინააღმდეგ არავინ დავობს. მაგრამ როგორც კი აქედან გავაკეთებთ ლოღიკურ დასკვნას და ვიტყვით: მაშასადამე, სამეცნიერო ტერმინოლოგიაც უნდა ხალხისათვის ხელმისაწვდომი, ხალხისათვის ახლო და გასაგები, მაშასადამე ნაციონალური უნდა იყოს, ამის წინააღმდეგ გაუთავებელი დავა იწყება და ამ აზრის დამცველებს ნაციონალიზმის მომხრეობას და ინტერნაციონალიზმის ღალატსაც კი სწამებენ. აშკარა ულოღიკობაა, „ნაციონალიზმის" და „ინტერნაციონალიზმის" არსების ზერელე გაგებაზე დამყარებული!

იყო დრო, როდესაც ჩვენში რუსი ნაციონალისტები სკოლის გაეროვნების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ამას სწორედ იმავ არგუმენტებით ასაბუთებდნენ, როგორც დღეს ტერმინოლოგიის გაეროვნების მოწინააღმდეგენი: სკოლის ნაციონალიზაცია ქართველებს, სომხებს, თათრებს და სხ. ერებს დააშორებს ევროპიულ კულტურას, რომელთანაც მათ ერთად-ერთი შემაერთებელი კავშირი აქვთ—რუსული ენა. ასე გვიქადაგებდნენ გამარუსებელ პოლიტიკის მესვეურნი, რომლებიც ამ შემთხვევაში ყალბი ინტერნაციონალიზმის ნიღაბ ჩამოფარებულნი გამოდიოდნენ. დემოკრატია იმ დროს არ ეთანხმებოდა ამ ცრუ-ინტერნაციონალიზმს და იმ აზრს ადგა, რომ კულტურული განვითარებისათვის უმოკლესი გზა—სწავლა-განათლების გაეროვნება. ცოდნას მოწაფე ყველაზე ადვილათ ითვისებს მშობლიურ ენაზე და მაშასადამე კულტურული ამაღლება ერისა უფრო მალე მოხდება, როდესაც სწავლა-განათლება დედა-ენაზე სწარმოებს, და ყველა დემოკრატიული პროგრამები მოითხოვენ სკოლის ნაციონალიზაციას. მაგრამ ყველაზე მედგარი დამცველი ამ პრინციპისა ყველა ქვეყნებში მუდამ სოციალისტები ყოფილან.

ის არგუმენტები, რომლითაც დემოკრატიული და მეტადრე სოციალისტური პარტიები ებრძოდნენ სკოლის გაეროვნების მოწინააღმდეგეთ, სავსებით გამოდგება ტერმინოლოგიის გაეროვნების დასაცველად. ხალხს გასაგებ ენაზე უნდა ასწავლო—ამას ყველა ეთანხმება. ვერავინ იტყვის რასმე. ხალხისათვის უნდა გასაგები გახდეს სამეცნიერო ენაც, სამეცნიერო ტერმინოლოგიაც—ეს პირდაპირი დასკვნაა წინა დებულებიდან.

„ხალხს სწორედ ეს ეროვნული ტერმინოლოგია უღებს დასავლეთის კარს და მომავალში ევროპასთან ერთ კულტურულ ენაზე დალაპარაკების, ე. ი. მის დონემდე ამაღლების საშუალებას აძლევს. უცხო ტერმინების ხმარება კი ამ განათლებას აფერხებს და მოწინავე ქვეყნებთან ხალხის გატოლებას აგვიანებს", ვკითხულობთ „ლექსიკონთან" დართულ განმარტებით წერილში.

ეს დედა აზრი „ლექსიკონში" ზედმიწევნით არის დასაბუთებული და ისე ყოველმხრივ გაშუქებული, რომ მის წინააღმდეგ დავა შეუძლებელი ხდება. დასაბუთებულია იგი თვით სამეცნიერო ტერმინოლოგიის ისტორიით, მის შინაარსის გარჩევით, სამეცნიერო ტერმინოლოგიის დღევანდელ პრაქტიკით და მის მიდრეკილებით, თვით მეცნიერების სარგებლობით, პედაგოგიური მოსაზრებით.

დღევანდელი სამეცნიერო ტერმინოლოგია საშუალო საუკუნეებისაგან არის ნაანდერძევი. იყო დრო, როდესაც ვერ წარმოედგინათ, რომ შესაძლებელია მეცნიერება სხვა რომელიმე ენაზე, გარდა ლათინურისა, ისევე, როგორც ვერ წარმოედგინათ, რომ შესაძლებელია პოეზია სხვა ენაზე, გარდა ლათინურისა, ისევე, როგორც ვერ წარმოედგინათ, რომ შეიძლებოდა ლოცვა სხვა ენაზე, გარდა ლათინურისა. ჰუმანისტურმა მოძრაობამ ეს ცრუ-მორწმუნეობა გააქარწყლა პოეზიაში და მეცნიერებაში; რეფორმაციამ მოძრაობამ გააქარწყლა იგი სარწმუნოებაში. მაგრამ მეცნიერებაში ძველმა ცრუმორწმუნეობამ ერთნაირი „რეზერვში" [illegible] და ეს „რეზერვი" გახლავთ სწორედ ის ლათინური ტერმინოლოგია, რომელიც საშუალო საუკუნეების აქეთ არის დარჩენილი მეცნიერებაში.

ამ მოვლენის აბსურდობა კიდევ იმით ორკეცდება, რომ ეს დახავსებული ტერმინოლოგია შეესაბამება იმ დაბალ საფეხურს, რომელზედაც იდგა მეცნიერება საშუალო საუკუნეებში და სრულებითაც არ შეეფერება მეცნიერების დღევანდელ მდგომარეობას. ეს შეუფერებლობა იმდენათ თვალსაჩინოა, რომ ტერმინოლოგია ყველგან ფაქტიურად და ძალდაუნებურად იცვლებოდა, ეროვნდებოდა, თუმცა მის ძირითად გადამუშავებას გაურბოდნენ. ისე რომ დღეს, როგორც „ლექსიკონის" შემდგენელნი ამბობენ, „არის რამდენიმე ასეული სქოლასტიკის მიერ ნაანდერძევი ტერმინი, მაგრამ მათ გვერდით ყოველ ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი საკუთარი, ეროვნული ტერმინია ხმარებაში" (გვ. 7). „საერთაშორისო ტერმინოლოგია" დღეს უკვე ფიქციაა, მავნე ფიქცია. „საერთაშორისო მეცნიერული ტერმინოლოგია, არა თუ არ არსებობს, ვერც გაჩნდება, რადგან ის, რასაც ამ სახელით უწოდებენ, მკვიდრების და ზრდის მაგიერ ყველა ქვეყანაში უკან იწევს და თანდათან ილევა" (გვ. 10). და ეს ადვილი ასახსნელიც არის: „მოძველებულ ლათინურ სახელებს აღარ შეუძლიათ ამ გაფართოებულ და გამდიდრებულ აზრების და ცნებების გამოსახვა; ამ გაქვავებულ და ძნელად გადასახმელ უცხო ფესვებს აღარ ძალუძთ ეხლანდელი მეცნიერული კვლევის და განყოფილებების სხვადასხვა ელფერის გადმოცემა; ისინი ისევე არ უდგებიან თანამედროვე ცხოვრებას, როგორც მათი გაჩენის დროის პოლიტიკური და სოციალური პირობები". (გვ. 10).

„ლექსიკონი" გვაფრთხილებს იმ სერიოზულ საშიშროებისაგან, რომელიც მოელის თვით ქართულ ენას და, მაშასადამე, ქართულ კულტურასაც ამ ლათინურ ტერმინოლოგიის გადმოტანის მხრით. ლათინური ტერმინოლოგია ცოტა მაინც უდგება ევროპიულ ენებს, რომლებიც ლათინურ ენას ენათესავებიან, მაგრამ იგი სრულებით არ უდგება ქართულ ენას, რომელიც, როგორც ყველამ იცის, სულ სხვა ენათა გვარს ეკუთვნის, სულ სხვა ბუნებისაა და არავითარი მსგავსება ლათინურთან არა აქვს. და დღეს რომ ლათინურ ტერმინოლოგიის სტუმართმოყვარეობით გავუღოთ კარი და შევიფაროთ ის ტერმინები, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენილია მეცნიერებაში, ქართული ენა ბარბარიზმებით აივსება, თითონ გახდება ბარბაროსული და გადაშენების გზას დაადგება.

„ხუმრობა ხომ არ არის ისეთი მოულოდნელი და უზარმაზარი უცხო სიტყვების შეჯრა, რომელიც ჩვენს ენას თავს დაესხმის! საბა ორბელიანის ლექსიკონში, რომელიც ჩვენი ენის ფუძეების უმთავრეს ნაწილს შეიცავს, ოცდახუთ ათასამდე სიტყვაა. ცნობილია, ტეხნიკაში ათი-ათასი ახალი ტერმინი ითვლება, მეცნიერებაში—ასეზე ბევრათ მეტი; ყველას ერთად, სულ რომ ცოტა ვთქვათ, ასი ათასზე მეტი მაინც ესაჭიროება. მაშასადამე, ჩვენ ენას უნდა ერთბაშად თითქმის ოთხი იმდენი უცხო და მოუნელებელი ფუძე ჩაეჭედოს,

რიბისაგან, სიმშილისაგან, სიცივისაგან და მას უმაღლეს კულტურამდე ავსწევთ. ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთის მშრომელი ხალხის გმირობით ჩვენ ამას მივაღწევთ.

დეპეშათა სააგენტოსაგან: რადიო სადგურის ცნობით მოსკოვს სამხედრო ცნობები არ გადმოუცია.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ **ქართველ ტყვეთა დაბრუნება.** ბათუმიდან სამხედრო მინისტრს დეპეშით ატყობინებენ, რომ 3 თებერვალს კონსტანტინოპოლიდან ბათუმში მოდის 117 ქართველი ტყვე საფრანგ. ოფიცრების თანხლებით. სამხედრო მინისტრის განკარგულებით ბათუმში გაიგზავნა შტაბ-ოფიცრები ტყვეების მისაღებად.

◆ **ნაფიც მსაჯულთა სესიის გახსნა.** 9 მარტს გაიხსნება თფილისის მაზრის ნაფიც მსაჯულთა პირველი სესია.

◆ **სანატორიის მოწყობა.** ერობათა კავშირის კომიტეტი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა კომიტეტს გადაეცეს აბასთუმანში მთავრობის ერთ-ერთი შენობა ერობათა მოხელეობისათვის სანატორიის მოსაწყობათ.

◆ **დ. კლდიაშვილის იუბილე.** სახელმწიფო თეატრში კვირას, 15 თებერვალს, დ. კლდიაშვილის 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება საზეიმო საღამო. 1) იგ. გომართელი წაიკითხავს მოხსენებას იუბილიარის შემოქმედების შესახებ. 2) მილოცვები. 3) წარმოდგენილი იქნება იუბილიარის პიესები: „უბედურება". პიესა 1 მოქმედებად. „დარისპანის გასაჭირი" კომედია 1 მოქმ. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები. საღამო ზეიმი დაიწყება საღამოს 8 ს. ბილეთები იყიდება ხოლოდ თეატრის კასაში.

◆ **ა. ჩხენკელის განცხადება.** ყოველგვარ გაუგებრობისა და ჭორების სათავეშივე ჩასაკლავათ ა. ჩხენკელი აცხადებს, რომ იმ ფასიან საჯარო მოხსენებებისათვის, რომელიც მან გამართა დასავლეთ ევროპიდან დაბრუნებისას, მას არავითარი გასამრჯელო არ მიუღია. ა. ჩხენკელი გამოსთქვამს იმედს, რომ ის ამხანაგები, ვინც აწყობდა ხსენებულ ფასიან მოხსენებებს, არ დააყოვნებენ მოათავსონ პრესაში შესაფერი ანგარიშები.

თფილისის ს. დ. კომიტეტის მდივანი ივ. სინაურიძე გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში: 13 იანვარს გამართულ ამხ. აკაკი ჩხენკელის ლექციიდან შემოვიდა სულ 12,347 მ. აქედან გადაეცა „ჯეჯილის" რედაქციას 3085 მ. დანარჩენი განაწილდა თანასწორათ თფილისისა და ცენტრალურ კომიტეტებს შორის.

◆ **კულტურულ განმანათლებელი მუშაობა გვარდიაში.** დღეს, 6 თებერვალს, თეატრ „სახალხო გვარდიელში" (საპიორთა ქუჩა, საპიორთა ყაზარმებში) სახ. გვ. განსაკუთრებული ათასეულის და საინჟინრო გუნდის კულტურულ განმანათლებელ სექციასთან არსებული დრამატიული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „რაც გინახავს, ველარ ნახავ" კომ. 3 მოქმ. ცაგარელისა. და უკრაინ. სამხედრო მუსიკა. ბილეთების ფასი 3—10 მ. დასაწყისი საღ. 7 ნახევარ საათზე.

◆ **მუშტაიდის კლუბში.** დღეს, საღამოს 7 ს. რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოხსენებას გააკეთებს აკაკი ჩხენკელი.

◆ **თანახმად იუსტიციის სამინისტროს** მიერ შემუშავებული წესებისა მიმდინარე წლის განმავლობაში მოეწყობა სახელმწიფო გამოცდები იურიდიულ ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებისათვის. იურისტ სტუდენტთა ინიციატორთა ჯგუფი იწვევს ამხანაგ იურისტების კრებას, კვირას 8 თებერვალს სასამართლო უწყებათა შენობაში (სუდებნი ქუჩა № 32) დილის 11 ს. სახელმწიფო გამოცდებთან დაკავშირებული საკითხების გასარჩევად.

◆ **თფილისის ქალაქის თვითმართველობის** მუშა მოსამსახურეების „ბიურო", საქართველოს სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიისა მოუწოდებს ამ პარტიის ყველა წევრებს ვინც მუშაობენ და მსახურებენ ქალაქის თვითმართველობის უწყებებში და წარმოებებში უსათუოთ გამოცხადდენ საერთო კრებაზე, რომელიც დანიშნულია შაბათს, 7 თებერვალს საღამოს 5 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში ერევნის მოედანზე.

◆ **რეიულები.** ერობათა კავშირის კომიტეტმა ქალაქთა კავშირისაგან მიიღო დიდძალი რეიულები, რომელსაც კავშირი მაზრებს შორის გაანაწილებს.

◆ **ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტის** დირექტორათ დაინიშნა ეპიფანე ნესტორის ძე ალშიბაია.

◆ **ქურდობა** 3 თებერვალს დილის 9 ს. 9 კომისარიატში პლეხანოვის ქუჩაზე ულუმბეკოვის ბინიდან მოიპარეს ნახევარი მილ. მ. საქონელი, 9 უბნის კომისარმა მოპარული საქონელი აღმოაჩინა და პატრონს დაუბრუნა. ქურდები დაპატიმრეს.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, მანჟგალოვას, სარაჯიშვილის, ინაშვილის მონაწილეობით „აბესალომ და ეთერი". შაბათს, 7 თებერვალს, მ. ს. დავიდოვას მონაწილეობით „ჩერევიჩკი", კვირას, 8 თებერვალს, დღით „ტრავიატა", საღამოთი ს. ა. შულგინას ბენეფისი „ბატერფლაი" და ბალეტი.

◆ **ლექცია.** კვირას, 8 თებერვალს, 12 ს. ცენტ. ფოსტის დარბაზში (პლეხ. ქ. № 44) წაიკითხავს ლექციას დამფუძნებელი კრების წევრი პ. საყვარელიძე, შემდეგ თემაზე: „დემოკრატია და რესპუბლიკის კონსტიტუცია".

კრებები

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ჩვეულებრივი სხდომა.

— დღეს, ლექციების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში დანიშნულია სოც.-დემოკრატ სტუდენტთა კრება.

— თფილისის მუნიციპალურ დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეების კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ შაბათს, 7 თებერვალს, ქალაქის საბჭოს დარბაზში საღ. 5 ს. დანიშნულია კავშირის სადელეგატო საბჭოს არაჩვეულებრივი სხდომა.

— დავით კლდიაშვილის საიუბილეო კომისიის სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 7 ს.

პროვინციის ქრონიკა.

გურჯაანის კომიტეტი აუწყებს სოფლების ბაკურციხის, კოლაკს, ვეჯინს, ჩუმლაყს, ახაშენს, ველისციხეს და მუკუზანს, რომ თებერვლის 8 კვირას 12 ს. შესდგება სარაიონო ყრილობა.

შორაპნის მაზრის ექიმის თანაშემწეთა და ბებია ქალთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცხადებს კავშირის წევრთა საყურადღებოთ, რომ ქალაქ ზესტაფონში 17 თებერვალს (ახალი სტილით) დანიშნულია წლიური საზოგადო კრება.

ბრძანება

რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

შევნიშნე, რომ სამინისტროს განყოფილებებში, სამხედრო ნაწილებში და სამმართველოებში საქმის წარმოება ძლიერ გვიანდება და არ სრულდება სათანადო სისწრაფით უფროსების განკარგულება. გარდა ამისა, ზოგიერთი ოფიცრები და მოხელეები იგვიანებენ სამსახურში და ზოგჯერ დანიშნულ დროზედაც ადრე სტოვებენ მას. სამხედრო უწყებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმის თავის დროზე შესრულებას და ყოველივე ბრძანების ნაწილების ცხოვრებაში საჩქაროდ გატარებას; ძველებურ კანცელიარულ უმოქმედობას, რუტინას და „ხვალეს" ადგილი არ უნდა ჰქონდეს სამხედრო უწყებაში. საქმე მუყაითად და სინდისიერათ უნდა სრულდებოდეს თავის დროზე და არავითარი დაბრკოლება ამის შესახებ არ უნდა არსებობდეს.

ვბრძანებ: სამხედრო ნაწილების და დაწესებულებათა უფროსებმა მიაქციონ ასეთ არანორმალურ გარემოებას ყურადღება და მიიღონ ჯეროვანი ზომები მის მოსასპობად.

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

ბათუმი

მე-27-ედ ტრადიციული საღამო—ნინოობა ბათუმში ისეთივე შინაარსიანი გამოდგა როგორც წინა წლებში. შემოსავალი ორი მილიონ მანეთამდეა, რომელიც ქართულ სასწავლებლის სასარგებლოთ მიდის. საღამოც შინაარსიანი იყო.

საღამო გაიხსნა ქართულ ეროვნულ ჰიმნით. შემდეგ დებ. თარხნიშვილების გუნდმა საუცხოვოთ შეასრულა ქართული სიმღერები. ბ. ბ. სარაჯიშვილმა და ინაშვილმა იმღერეს ქართული რომანსები და დუეტი „აბესალომ და ეთერიდან". ბევრი სცენა დამსწრე საზოგადოება მოსწრებული იუმორით თავუნამ. დამსწრე საზოგადოება დიდათ ასიამოვნა გრიშაშვილმაც თავისი ლექსის წაკითხვით—„საქართველოს მტრებს".

საერთოთ ბათუმში 12 ნახ საათის შემდეგ აკრძალულია ქალაქში სიარული, მაგრამ ამ საღამოს მონაწილე დამსწრეთ ეძლეოდა ბარათები, რომლითაც შეეძლოთ რა დროსაც სურდათ წასულიყვნენ სახლში. გ—გი.

გიორგი იშხნელი.

გუშინ სამშობლო სოფ. არადეთში (ქართლი) მიწას მიაბარებდნენ მსახიობ გიორგი არადელი—იშხნელის ცხედარს. რა მწარე და დამაღონებელია ეს ამბავი იმათთვის, ვისაც უყვარს ქართული თეატრი—ხელოვნება!

ისედაც კულტურულ ძალებით ღარიბმა ქართულმა თეატრმა უდროოდ დაჰკარგა მსახიობი, დიდის გრძნობის და ბრწყინვალე ნიჭის პატრონი, მსახიობი კულტუროსანი.

ასეთი ნიჭით მომადლებული მსახიობი, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, დაამშვენებდა ყოველ სცენას—ხშირად უმოქმედოთ იყო და ისეთ პირობებში, რომ არა ნორმალური ცხოვრების ტარება უხდებოდა.

გიორგი იშხნელის ნიჭს კარგი ფარეზე ესაჭიროებოდა, ქართული თეატრი რომ კარგ დონეზე მდგარიყო, რომ სცენაზე ყოფილიყო ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა, უეჭველია, გიორგი იშხნელიც ჩაითრებოდა იმ ღვთიური ცეცხლით, რომელიც მასში ღვიოდა და ადვილი შესაძლებელია, იგი დღეს ჩვენთან ყოფილიყო.

ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს იშხნელი თავის როლში (ხშირათ მსახიობს უხდებოდა ისეთი როლების ასრულება, რომელიც მის ინდივიდუალობას არ შეეფერებოდა) მისთვის დაუვიწყარი იქნება გიორგი. სიმარტივე, სიღრმე განცდისა და ბუნებრივი სინამდვილე—აი, გიორგის ნიჭის დამახასიათებელი ფერადები.

ახლაც კი, თვალწინ მიდგას გიორგის მიერ განსახიერებული ქართველი გიგო („მსხვერპლი"), ანანია („ლალატი"), ონუფრი („დღენი ჩვენი ცხოვრებისა") და მრავალი სხვა.

იმ თაობისათვის, რომელიც მომსწრეა მსახიობის და ერთხელაც არის უნახავს მსახიობის მიერ განსახიერებული ესა თუ ის ტიპი, იგი დიდხანს დარჩება მის მეხსიერებაში და გვგონია თუ კი ერთხელ მაინც ვინმეს უნახავს გიორგი იშხნელის გიგო („მსხვერპლი") და სხვა, მისთვის მსახიობის ხატება წარუშლელი იქნება, როგორც ჩვენთვის წარუშლელია ნატო გაბუნიას „ხანუმა".

ბ.

მინისტრი ნოე რამიშვილი დასავლეთ საქართველოში

სამტრედია. 27 იანვარს, ქ. სამტრედიას ეწვია მინისტრი ნოე რამიშვილი, რომელსაც ხალხი დიდი ოვაციებით შეხვდა. მან მოხსენება გააკეთა მომენტზე, ვრცლათ დაახასიათა ეხლანდელი ჩვენი და მთელი მსოფლიოს მდგომარეობა. მომხსენებელმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბოლშევიკების მოქმედება რუსეთში და დასასრულ მოუწოდა ხალხს შეუნელებელი მუშაობისაკენ დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებისათვის. ხალხმა მინისტრი ტაშისცემით დააჯილდოვა.

28 იანვარს. მოხსენება გააკეთა ადგილობრივ მუშათა კლუბში, პარტიულ კრებაზე. მოხსენება მეტათ შინაარსიანი იყო. დაესწრო ყველა პარტიის წევრები, რომელნიც მოხსენებით კმაყოფილი დარჩენ.

ა. მანუჩაშვილი.

აბაშა 30 იანვარს სენაკიდან სამაზრო ერობის გამგ. თავმჯდ. ი. მალანიას და გამგეობის წევრ კ. ფიჩხაიას თანხლებით აბაშაში გვესტუმრა მინისტრი ამხ. ნოე რამიშვილი. წინა დღიდანვე მოწვეული იყო მთელი საზოგადოება კეთილარის თემიდან და აგრეთვე დაინტერესებული პირები აბაშის რაიონიდან. აბაშაშიაც იყო მზადება მინისტრის შესახვედრად, მაგრამ თოვლმა და უამინდობამ ჩაგვიშალა ამ დღის გეგმა. ჩამოსვლისას დაახლოვებით დილის 11 საათიდან პირველით მინისტრმა დაათვალიერა ადგილობრივ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი, გიმნაზია და სხვა დაწესებულებები, რის შემდეგ გაეშურა სოც.-დემ. კლუბისაკენ მოხსენების გასაკეთებლათ.

მიუხედავათ ცივი და სუსხიანი დღისა, მაინც აუარებელ ხალხს მოეყარა თავი კლუბში და უცდიდენ მინისტრს. კრება გახსნა სოც. დემ. კოლექტივის თავმჯდომარემ და მისივე წინადადებით თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დამფუძ. კრების წევრი ამხ. ბარნაბ ძველაია, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ და აუხსნა მიზანი მინისტრის ჩამოსვლისა.

დამსწრე საზოგადოება დაუსრულებელი ტაშის ცემით შეხვდა მინისტრს, რომელმაც მიესალმა ხალხს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის სახელით, რის შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე. შეეხო რუსეთის მდგომარეობას და გადაუშალა კრებას სურათი ახლანდელი რუსეთის და მისი განაპირა კუთხეებისა. აუხსნა მიზეზი და მნიშვნელობა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა და გადავიდა ჩვენი მთავრობის პოლიტიკაზე, ფართოდ გააცნო ხალხს ჩვენი მთავრობის პოლიტიკა, შემოღებული რეფორმები და მისი მნიშვნელობა, რითაც დამსწრე საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა, რაც გამოიხატა ხანგრძლივ ტაშის ცემაში და ოვაციებში. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც კრებამ სავსებით მოიწონა მთავრობის პოლიტიკა და შეჰპირდა გვერდში ამოდგომა და ყოველ მხრივ ხელის შეწყობა. დღის 1 საათზე მინისტრი გაემგზავრა ბანძისაკენ.

ე—ნი.

უცხოეთი

ადერბეიჯანი.

მთავრობის კრიზისი. გაზ. „ისკრა"-ში მოყვანილია პარლამენტის სოციალისტურ ფრაქციის შემდეგი შინაარსის განცხადება, რომლითაც მან მიმართა 1 თებერვალს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს: მთავრობის კრიზისის შემდეგ, რომელიც 3 თვე გრძელდება, მ. გ. ჰაჯინსკიმ გამოიმუშავა საგარეო და საშინაო პოლიტიკის ისეთი პლატფორმა, რომელზედაც ყველა ფრაქციები შეთანხმდენ, რადგანაც უთანხმოების უმთავრეს ნაწილს საშინაო პოლიტიკა იწვევდა,—ამიტომ ყველა ფრაქციების თანხმობით შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე არჩეულ იქნა ჰაჯინსკი, რომელმაც შესძლო უთანხმოების მოსპობა. ეხლა კი „მუსავატმა", რომელიც არ იზიარებს ჰაჯინსკის საშინაო პოლიტიკის ხაზს, გაიწვია იგი თავისი პოსტიდან; ამით მან დაარღვია შეთანხმების პრინციპები. „მუსავატმა" არავითარი ანგარიში არ გაუწია სოციალისტების და აგრეთვე „იტტიხადისა" და „ეხრარის" წარმომადგენელთა განცხადებას—პროტესტს მისი მოქმედების შესახებ. ამიტომ სოციალისტური ფრაქცია, მიუთითებს რა იმაზე, რომ „მუსავატის" ასეთ ნაბიჯს შეუძლია დაღუპვამდი მიიყვანოს ქვეყანა,—იწვევს უკან მთავრობიდან თავის წარმომადგენლებს.

რუსეთი.

მდგომარეობა უკრაინაში. უკრაინიდან ჩამოსული პირი შემდეგ ცნობებს აწვდის გაზ. „სლოვოს" თანამშრომელს: უკრაინის ამბების შემდეგ იგ. მაკარენკოსა და მისის თანამოაზრენი გაიქცნენ ოლქში და დაიწყეს აგიტაცია რაზმების მოსაწყობად. თვითონ მაკარენკო უმანში გაიქცა, სადაც მის განკარგულებაში გადავიდა ორი რაზმი—„პლასტუნების" და „ტაბინის". მასვე მიემხრენ დიდძალი აჯანყებულები ადგილობრივ გლეხობიდან. ამ რაზმით მაკარენკო [illegible]ში. აქ მაკარენკოსთან მოვიდნენ შავი ზღვის გუბერნიის [illegible] რადის წევრები და პეტლიურას [illegible]ლები, რომელთაც წინადადება მისცეს მას „ჩერნომორიაში" შეთანხმებულათ მოქმედების შესახებ. რადის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ მას, თუ კი საბოლოოთ იქნება უარყოფილი გზა მოსკოვ-პეტროგრადისაკენ და მოქმედების მიზნათ კიევ-ეკატერინოდარი იქნება. ამასთანავე მაკარენკომ კავშირი დაიჭირა მწვანე არმიასთან. მაკარენკოს ჯარი საკმაოთ შეკავშირებულ ძალას წარმოადგენს; მასში შედიან ბევრი პარტ. და საზოგადო მოღვაწენი. მაკარენკო დიდ სიმპატიას იჩენს უკრაინისადმი. გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს მან, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა: ერთად ერთი ხსნა დენიკინელებ—ბოლშევიკების ბატონობისაგან უკრაინის ხალხის გაერთიანებაშია, რომელსაც სათავეში დირექტორია, ან სხვა რომელიმე მთავრობა ჩაუდგება. ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ მხოლოდ კიევისაკენ. უკრაინელი ჯარისკაცები სტოვებენ „მოხალისეთა" რაზმებს და შავი ზღვის გუბერნიისაკენ მიეშურებიან აჯანყებულებთან შესაერთებლათ. ხდება ექსცესები, რაც იმ ძალადობის პასუხათ უნდა ჩაითვალოს, რასაც რეაქცია აწარმოებდა „სამოსტაინიკების" წინააღმდეგ; ყაზახები-უკრაინელები ტამანისა და ტემრიუკის სტანიცებში ხურავენ რუსულ სკოლებს, მოითხოვენ საქმის წარმოებას უკრაინულ ენაზე და სხვ.

ყუბანის რადაში. 31 დეკემბერს (ძვ. სტ.) შესდგა ყუბანის საოლქო რადის სხდომა. ასარჩევი იყო რადის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და ყუბანის ჯარის ატამანი. რადის თავმჯდომარეთ სკობცოვის მაგივრად არჩეულ იქნა ტიმოშენკო, მის მოადგილეთ პ. რაბოვოლი. ახლათ არჩეული თავმჯდომარე იმედს გამოსთქვამს, რომ ამიერიდან ბოლო მოეღება იმ არა ნორმალურ პირობებს, რასაც დღემდე ჰქონდა ადგილი და რადა შეუდგება საქმიან მუშაობას. საღამოს სხდომაზე არჩეულ იქნა ჯარის ატამანი. კანდიდატებათ წამოაყენეს: გენ. ლიუტ. შკურო, გენ. ტაჩევი და გენ. ბუკრეტოვი. ყუბანის კონსტიტუციის თანახმათ ატამანათ არჩეულ უნდა იქნეს ყაზახი, ან მთიელი და ამასთანავე ისეთი, რომელსაც უმსახურია ჯარში არა ნაკლებ 15 წლისა. გენ. ბუკრეტოვი არ აკმაყოფილებდა ამ პირობებს; ამიტომ ზოგიერთები დაჟინებით მოითხოვდენ მისი კანდიდატურის მოხსნას, მაგრამ „რადამ" უმჯობესათ სცნო სათანადო მუხლის შეცვლა კონსტიტუციაში და ხმის უმრავლესობით (275 ხმით 102 წინააღმდეგ) ატამანათ გენ. ბუკრეტოვი აირჩია. „რადა" მას დაუსრულებელი ტაშისცემით ხვდება. ახალი ატამანი მოკლე სიტყვაში მადლობას უძღვნის რადას და აღუთქვამს, რომ მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა ყუბანი გახდეს ბედნიერი და თავისუფალი; იგი აღნიშნავს, თუ როგორ მძიმე მდგომარეობაშია ყუბანი, მაგრამ მომავალს იმედის თვალით უყურებს: „ჩვენ არ დავუთმობთ საყვარელ ყუბანს ბოლშევიკებს, რომელნიც ჩვენსკენ მოიწევენ და სხვებს არ მივსცემთ არავის გარდა ყუბანის ხალხისა, ჩვენზე იბატონოს... ჩვენ ამიერიდან შევეცდებით შემოვინახოთ ჩვენი დამოუკიდებლობა; ჩვენ ავამაღლებთ ყაზახებს და ბრძოლით მოვიპოვებთ ყუბანის თავისუფლებას!" ატამანის სიტყვა „ურამ" დაფარა. ამის შემდეგ გენ. ბუკრეტოვი დაფიცეს; რადის უხუცეს წევრმა ზაჩრიბინმა შეასრულა ყაზახების ტრადიციული ჩვეულება,—დააფხვნა თავს მიწა და ჩააბარა „ბულავა". ბოლოს რადამ იმღერა ყუბანის ნაციონალური ჰიმნი, რის შემდეგ ატამანი აცხადებს, რომ იგი დაუყოვნებლივ შეუდგება თავის მოვალეობათა ასრულებას.

ბოლშევიკები როსტოვში. ქალ. როსტოვის ცხოვრების შესახებ შემდეგი ცნობებია მოყვანილი გაზ. „რუსსკ. მისლ"-ში: ბოლშევიკებმა უკვე მოიმაგრეს ფეხი როსტოვში. ბოლშევიკების ზოგიერთი რაზმები დაბანაკებული არიან ქალაქის შუა ნაწილში, საიდანაც თითქმის ყოველ დღე ისმის თოფის ხმა. ღამით ქალაქი გაუნათებელია; არ ისმის ზარის რეკვა; ალბათ, ბოლშევიკებს განკარგულება გაუცემიათ არ დარეკონ ზარები. ტყვედ წამოყვანილი ბოლშევიკების გადმოცემით ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადებული; 6 საათის შემდეგ ქუჩაში გასვლა აკრძალულია. ბოლშევიკებმა მოახდინეს [illegible]; გამოაცხადეს მობილიზაცია 17-დან 48 წლამდე. ბავშვები და ქალები თხრილების სათხრელათ გაჰყავთ. ქალაქში ორი „ჩრეზვიჩაიკა" მუშაობს, რომელიც ყოველდღე ატუსაღებს მცხოვრებთ. ქალაქში არ არის პური და არც სხვა რაიმე სურსათი. 3 დღის განმავლობაში წყალიც არ ყოფილა, რადგანაც წყალსადენი დაზიანებული იყო. 30 (ახ. სტ. 13 იანვარი) დეკემბერს მოხდა [illegible] დეპუნქტი, [illegible]

დენაც თითონ ახალია" ცხადდება, ასეთ პირობებში ენა ან სრულიად დაიხრჩობა ამ შაბლონურ ზვავის ქვეშ ან უკეთ შემთხვევაში ბუნებით და ცხოვრებით [illegible] „ესპერანტოს" მსგავს ჟარგონად გადიქცევა" (გვ. 16). მეცნიერება დასავლეთ ევროპაში მხოლოდ საზოგადოების მაღალ წრეებისათვის იყო, იგი არისტოკრატიული, დაბალ წრეებისათვის სრულიად მიუწვდომელი იყო. მას აქეთ რაც ცხოვრების წინა ადგილებზე დემოკრატიული წრეებიც გამოვიდენ, მეცნიერებაც მიუახლოვდა ხალხს. ტერმინოლოგიაშიც შეიქმნა დემოკრატიული ნაკადი, იგი გაეროვნების გზას დაადგა. სასაცილო და მასთან საბრალოც იქნებოდა, რომ ჩვენსა ერმა თავიდან გაიმეოროს ის გზა, რომელიც ევროპის მეცნიერებამ გაიარა რამდენიმე საუკუნეში. თუ პოლიტიკაში ჩვენ ევროპის უკანასკნელ პრაქტიკას ვბაძავთ და გავურბით იმის გადმოღებას, რაც იქ რუდიმენტათ ძველ ნაშთად არის დარჩენილი, თუ კი მეურნეობაში არ გვინდა გადმოვნერგოთ ის, რის არსებობაც იქ ისტორიულ წარსულით აიხსნება, თუ კი ტექნიკაში, მაგ., ჩვენ პირდაპირ თანამედროვე ელექტრონულ მამოძრავებლებს გადმოგვაქვს და მხარს უუხვევთ იმ დაძველებულ მანქანებს, რომლებიც 50—100 წლის წინ იყო გამოგონილი,—რატომ ასევე არ უნდა მოვიქცეთ ტერმინოლოგიის საკითხშიც და არ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელზედაც უფრო და უფრო მტკიცეთ დადგა უკანასკნელ ხანებში ევროპიული მეცნიერება?

„ლექსიკონში" განმარტებულია ის სისტემა, რომლითაც ხელმძღვანელობდენ მისი შემდგენელნი ტერმინების გამომუშავების დროს.

„სახელების შედგენაში სამგვარი მიზანი გვქონდა: 1) სიტყვები უნდა ყოფილიყო მტკიცე მეცნიერული, ე. ი. ცნების ძირითადი თვისების გამომხატველი; 2) ნამდვილი ქართული და მეტყველი; 3) რაც შეძლება მარტივი, ე. ი. საყოველთაოდ ენიდან მკაფიოდ გამოსარჩევი, მოკლე და კარგი საწარმოები" (გვ. 23).

მასალა, რომელსაც კომისია ხმარობდა სიტყვების ძიებაში, შემდეგი ყოფილა: 1) ყველა ქართული ლექსიკონები; 2) ძველი ქართული მეცნიერული ნაწერები; 3) ყველა ის ტერმინები, რომლებიც აქამდის იყო გამომუშავებული; 4) ხალხური კილოკავები და სხვადასხვა კუთხეებში სახმარი სიტყვები; 5) ძველი წერილობები; 6) სასულიერო წიგნები. და მხოლოდ „იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ჩვენს ენაში ვერც სიტყვას გამოვნახავდით, ვერც საჭირო ფუძეს, იძულებული ვიყავით თითონ შეგვეთხზა ეს საჭირო სახელი ან მოსახმარე ფესვები გადაგვესხვაფერებია, ან ანალოგიურ ცნებათა სახელის წაბაძვით..." (გვ. 24).

თვით „ლექსიკონის" შინაარსი გვარწმუნებს, რომ ამ გზას კეთილსინდისიერათ ადგა კომისია და ამის მეოხებით ბევრი ისეთი სიტყვა აღმოაჩინა ძველ ენაში, რომლებიც ელემენტარულ მეცნიერებისათვისაც გამოსადეგია, ხალხის ყურისათვისაც მისაღები, ხალხის გონებისათვისაც ადვილი მისაწვდომი; ქართულ მეცნიერების მომავალი ისტორია დაუმადლებს კომისიას იმასაც, რომ მან თვით ხალხში აღმოაჩინა ზოგიერთი ისეთი სიტყვები, რომლებიც ფართო საზოგადოებას არ გაეგონა, მაგრამ ქართულ ყურისათვის და აზროვნებისათვის სრულიად მისაღებია.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ „ლექსიკონში" შეტანილი ყოველი ტერმინი უდავო და მისაღები იყოს. ათი-ათასზე მეტი ტერმინის ერთბაშად გამოგონება—ეს აღემატება ისე მცირე—რიცხოვან კოლექტივის ძალ ღონეს, როგორიც კომისია იყო: ტერმინოლოგიის შედგენა—ეს რამდენიმე თაობის ხანგ მუშაობის საქმეა. თვით ლექსიკონის შემდგენელთ არც აქვთ ასეთი პრეტენზიები: „ეს საქმე, [illegible] „[illegible]", იმდენათ დიდი და პასუხსაგებია, იმდენათ ძირითადი, სახელმწიფოებრივი და საშვილიშვილო, რომ მარტო ჩვენის პატარა ჯგუფისათვის შეუძლებელია მისი ბოლომდის მიყვანა". (გვ. 105).

ერთი კი უნდა თამამად ვთქვათ: ლექსიკონის შემდგენელთ მუშაობის დროს ჰქონიათ გარკვეული მეთოდი, გარკვეული მიზანი, მათი შრომა სწორ, უდავო და დემოკრატიულ პრინციპზეა აგებული და მათი მუშაობის ფორმაც—სხვა და სხვა დარგის სპეციალისტების თანამშრომლობა—ერთად ერთი საშუალებაა ამისთანა შრომის გასაწევათ.

ფაქტიური ნაყოფი, რომელიც ამ კომისიის მუშაობამ გამოიღო, ჩვენ ძლიერ თვალსაჩინოთ მიგვაჩნია. სხვა სიტყვები რომ არც შეითვისოს ჩვენმა მეცნიერებამ, საკმარისია გავიხსენოთ ზოგიერთი ძირითადი სიტყვები, რომლებსაც იგი უეჭველად მიიღებს და რომლის მიღებაც ძლიერ გაამდიდრებს ჩვენს მეცნიერულ ენას, რადგან მათ ძირზე აშენდება მთელი რიგი ტერმინებისა. ჩვენ გვგონია, რომ მისაღები იქნება მათემატიკურ ტერმინების მეტი ნაწილი. სრულიად მისაღებია და მდიდარია თავის ნაყოფით ისეთი მოხერხებული და სრულიად ქართული სიტყვა, როგორიც არის „დანდი" მათემატიკაში, „ელვიხო" და ყველა ტერმინი. სიტყვა „ელვა"-დან წარმომდგარი ტერმინები—ფიზიკაში (მით უმეტეს, რომ მარცვალ „ელ"-ის მიმატება „ელექტრონ"-საც გვაგონებს). კიდევ უფრო მოხდენილი და ცნების შესაფერია სიტყვა „მზედარი" (პლანეტი). ქართულ მეცნიერებას არ შეუძლიან არ შეითვისოს ისეთი სიტყვები, როგორიც არის „ციცანა" (ფოსფორი), „უჩინმაჩინი" (მიკროსკოპი), „შჯეთობა" (რეაქცია ქიმიური), „ჭანგი" („სიმჟავის" მაგიერ), „ძველ წერა" (სტენოგრაფია), „ნაკი" (დიფერენციალი), „დენა" (ტოკი) და მრავალი სხვა. უეჭველია შეითვისებს ქართული ენა იმ წმინდა ქართულ თავსართებს და უკანსართებს, რომლის საშუალებითაც გადმოგვცემენ „ლექსიკონის" ავტორები მეცნიერულ ცნების წვრილმან განსხვავებებს.

ტერმინოლოგიის გაეროვნება — ეს ისეთი დიდი მიზანია, რომ მან, როგორც სჩანს, შებოჭა „ლექსიკონის" შემდგენელთა მთელი ყურადღება. და თუ მათ შეიძლება ვუსაყვედუროთ რამე, ეს ის, რომ თავის მიზნისაკენ მათ გადამეტებულის პირდაპირობით უვლიათ და ხშირად მოუნდომებიათ ახალი სიტყვის შემოღება იქ, სადაც ევროპიული სიტყვა უკვე ჩვენი ხალხური—ქართული—სიტყვა გახდა და ხალხმაც უკვე ისე შეითვისა, რომ მათი შეცვლა თუნდაც წმინდა ქართულ ახალ ენაზე საჭიროთ არ მიგვაჩნია, მაგ. „მანქანის" შეცვლა, თუნდაც მის მაგივრად ისეთი მარჯვე სიტყვა გამოიგონოთ, როგორიც არის „ქმისი", ან „კლასის" მაგივრად შემოიღოთ „განწილი", „კასსის" მაგივრად—„დახლი", „პარკის" მაგივრად—„ფარეხი", სრულებით საჭირო არ არის „ალგებრის" „ალჯებრით" შეცვლა. ავტორებს ფაქტიურად ვერც გაუტარებიათ ეს ნაციონალიზაცია ისეთის პირდაპირობით, როგორც ნდომებიათ; მათ დაუტოვებიათ, მაგ., ისეთი სიტყვები, როგორც „ქვარცი", „შრაპნელი", „ტონნა" და სხ.

უნაკლოდ არაფერი კეთდება. საერთოდ კი უნდა ვაღიაროთ, რომ კომისიას დიდი და პატივსაცემი შრომა გაუწევია. მათ „ლექსიკონ"-დან ქართული მეცნიერება ბევრს რასმე შეითვისებს, მათ მიერ ნაჩვენები ტერმინოლოგიის შემუშავების გზა ბევრს ახალს და ნაყოფიერს შესძენს ჩვენს კულტურას, მათი მეთოდი სახელმძღვანელო გახდება ყოველ მუშაკისათვის ტერმინოლოგიის დარგში.

დ. ნათაძე.

შელსაც დაესწრო ერთ-ერთი უმაღლესი კომისარი; მოელოდენ ტროცკის. ბოლშევიკები შეწუხებულნი არიან: ისინი არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ შესძლებენ ქალაქის შენახვას. საფრანგეთო სამხედრო ქალაქში ლატიშთა და ჩინელების რაზმები სწევიან. ქალაქში საზურეები დახურულია; ბოლშევიკები აწარმოებენ საქონლის რეგისტრაციას, არაა დახურული მხოლოდ „კაფეები", კინემატოგრაფები და თეატრები; მაგრამ ესენიც 5 საათზე იხურება. ღამღამობით ქალაქში გამეფებულია სიბნელე.

ისპანია

სოციალისტები და მთავრობა. ჟურნ. „ტემპს"-ის გადმოცემით ისპანელ სოციალისტებს შემდეგი რეზოლუცია გამოუტანიათ: ხელი შეუწყონ მთავრობის პოლიტიკას მაროკოში. სოციალისტები პროტესტს აცხადებენ ყოველგვარი სამხედრო გაწვევების წინააღმდეგ, მოითხოვენ ტყვეების განთავისუფლებას და სოციალისტური პარტიის წევრის გაგზავნას რუსეთში, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს საქმის ნამდვილი მდგომარეობა. შემდეგ სოციალისტების კონგრესი მოითხოვს, რათა ისპანიის მთავრობამ გავლენა მოახდინოს საფრანგეთის მთავრობაზე, საფრანგეთში მყოფ ისპანელ მუშების მდგომარეობის შესწავლის მიზნით; ისპანიის მუშები საფრანგეთში არ სარგებლობენ იმავე უფლებებით, რითაც ფრანგი მუშები; მათ იმის უფლებაც კი არა აქვთ, რომ მონაწილეობა მიიღონ იქაურ მუშათა სინდიკატებში და სხვ.

სირია.

არაბები და ევროპიელები. დამასკოდან მოსული ცნობების თანახმად დამოკიდებულება ევროპიელებსა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის მეტად გამწვავებულია; ამის გამო ევროპიელები ქალაქს სტოვებენ. მცხოვრებთ ერთნაირად ეჯავრებათ როგორც ინგლისელები, ისე ფრანგები. საფრანგეთის პრესა ეხება ამ მოვლენის მიზეზებს და აღნიშნავს, რომ მას საფუძვლად უდევს ადმინისტრატიული თვითნებობა, რასაც სჩადიან ინგლისელები; არაბები ძალზე აღელვა ინგლისელების მიერ არაბ გენერალ იასსინ-ფაშას დაჭერამ, რამაც შელახა არაბთა ჯარის თავმოყვარეობა. დამასკში ყოველ დღე მანიფესტაციები ხდება, მანიფესტანტები მოითხოვენ, რათა განთავისუფლებულ იქნეს იასსინ-ფაშა, რომელიც სამართლიანად ითვლება არაბთა ჯარის წინამძღოლად და სულის ჩამდგმელად. ინგლისელ ოფიცრებში პანიკაა; ისინი სასწრაფოდ სტოვებენ ქალაქს. („ბდ".).

სახალხო გვარდიაში

3 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, გაიმართა „ვოგზლის" რაიონის (ტრამვაის და განაპირა მხარის) გვარდიელების საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 260 დგ.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამ. დუმბაძე, მდივნად ჩიქაშუა.

პირველად მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვალიკო ჯუღელმა. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო თანამედროვე ვითარებას და აღნიშნა, რომ მდგომარეობა შედარებით გამოიცვალა. საქართველოს ფაქტიურად აღიარება ერთგვარი დასაწყისია ჩვენი პირობების გაუმჯობესებისა, მაგრამ ეს მოვლენა ჩვენ გვაძლევს მეტ მტკიცე ნებას, მეტ სიფხიზლეს. ევროპის მუშათა კლასის თანაგრძნობა დიდი ხანია ჩვენს მხარეზეა და ეს დაადასტურა მუშათა ინტერნაციონალმა. მთელ ევროპის აღმოსავლეთში შექმნილმა მდგომარეობამ თავისი სიტყვა დაათქმევინა ჩვენდა სასარგებლოთ და ორი ევროპის ყურადღება ჩვენსკენაა.

ჩვენს გასაჭირს წარმოადგენს სასურსათო კრიზისი.

პურის საკითხი გამწვავებულია არა მარტო ჩვენში, არამედ—ამ მხრით ევროპის ხალხები საშინელ განსაცდელშია. მსოფლიო ომმა გაანადგურა საწარმოო ძალები, მოსპო სამეურნეო ცხოვრება და გააქრო შრომის ნაყოფიერება. იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ნურავინ იფიქრებს, რომ ყველაფერი სიჩქარით მოწესრიგდება,—პურიც იქნება, მატერიაც და ყველაფერი. ჩვენ ბევრი მძიმე პირობები გავიარეთ, ძლიერ გავჭირდით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თან და თანობით არ მოწესრიგდეს ჩვენი ცხოვრება.

ჩვენ კი არა, თვით მდიდარი ვენა, რომელიც თავისი სიმდიდრით იზიდავდა კაცობრიობას, საშინელ განსაცდელშია, სიმშილი მძვინვარებს იქ და ხალხი ქუჩაში იხოცება. ეს შექმნა იმპერიალისტურმა ომმა.

„ბოლშევიკურ" რუსეთში გარდატეხა დაიწყო. საბჭოთა მთავრობა, რომელიც სამოქალაქო ომის პოლიტიკას აწარმოებდა, ცხოვრების აუცილებლობას ემორჩილება. ეს ახლა უნდა მომხდარიყო, რადგანაც ევროპის მუშათა არმიამ არ გაიზიარა რუსეთის „ბოლშევიკური" მოძრაობა. და ეხლა „ბოლშევიკები" იწყებენ ფიქრს, მოქნილობას, თუ როგორ აღადგინონ მათ მიერ დანგრეული მეურნეობა, მიმართავენ და სასტიკ ზომებს ღებულობენ შრომის მილიტარიზაციის შემოსაღებად, გასატარებლად. უკანასკნელი ცნობები საყურადღებო ფაქტებით დახატულ რუსეთის შესახებ ვინ ვინმე ტროცკის, ლენინის სიტყვები წაიკითხა, მისთვის ზედმეტი რუსეთზე შეხედულება. ამაზე უფრო საშინლად შეფერადებულია, რასაც თვითონ აცხადებენ: „ჩვენ ხელს გვბოჭავს ბიუროკრატიზმი, სიმშილი, ტიფი, ანტისანიტარობა".

„ბოლშევიკებმა" თავისი მიზნების განხორციელება აღმოსავლეთისაკენ დაიწყეს. ჩვენ ამ მხრით ხიფათთან ახლო ვართ. მხოლოდ ერთი ცხადია, „ბოლშევიკური" ტენდენციები თუ ვინმე წაიღო, თუ ვინმე [illegible], იმპერიალისტურია. რაც შეეხება ახლა ლოიალურ „ბოლშევიკებს", რომლებიც თავიანთი ფურცლებით იმუქრებიან,—ეს გარეშე შეტაკებებს დაურჩებიან და ჩვენთან ყოველ დროს შეხვედრა მიიღებს. ჩვენი შექმნილი პირობები საქმიანობას გვაძლევს. მთავარი არის სურსათის მოწესრიგება. სახელმწიფო გვარდიის მთავრობის შეტაკებით სამეურნეო ცხოვრებასაც მიექცა ყურადღება და პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა, მაგალითად, როგორც არის ფაბრიკების [illegible] მოხსნა და სხვა. ეს მუშაობა ჩვენი ბინის განვითარებისა და სოციალისტური ნაყოფის გაზრდის ახლო მომავალში. და ბოლოს, ჩვენ უნდა ვეცადოთ უძლიერესი ჩვენი მტკიცე ორგანიზაცია მუშათა, რომელიც გაზრდის დემოკრატიის ძალთა განმტკიცებით და რომელიც მოგვცემს გამარჯვებას ჩვენს იდეალებისათვის ბრძოლაში.

ვალიკოს მოხსენების შემდეგ რაიონის შტაბის სახელით მოხსენებას აკეთებს ამ. ვასაძე შტაბის მოქმედების შესახებ. მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა შტაბის საქმიანობა და კამათის შემდეგ კრებამ მოიწონა შტაბის მოქმედება.

სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ვ. კანდელაკმა, რომელიც შეეხო ძველი შტაბის მოღვაწეობას რთულ პირობებში და წევრების ენერგიული მოქმედება აღნიშნა. ახსენებულ შტაბის შესახებ განაცხადა, რომ ყოველგვარი საქმე წესიერად მიმდინარეობდა.

შემდეგ კრებამ მოისმინა მთავარი შტაბის კულტ.-განმანათლებელ სექციიდან მოხსენება და დასასრულ აირჩია შტაბის და სარევიზიო კომისიის წევრები. არჩეულ იქნენ ძველები. № 1.

მუშათა კლუბებს

და მათთან დაკავშირებულ პირთა და ორგანიზაციების ყურადღებით.

კვირას, 1 თებერვალს, საღამოს 5 ს. ცენტრალურ მუშათა კლუბში დანიშნული იყო საზოგადო კრება ყველა მუშათა კლუბების წარმომადგენლებისა და მუშათა კლუბის საბჭოს წევრებისა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კლუბებს დაეგზავნათ საგანგებო უწყებები და მოწოდება იყო მოთავსებული გაზეთ „ერთობაში", კრებაზე გამოცხადდნენ მხოლოდ საბურთალოს, ორთაჭალის, ვერის, მუშტაიდის და ნაძალადევის მუშათა კლუბების წარმომადგენლები და მუშათა კლუბის საბჭოს მდივანი. ელოდნენ რა დანარჩენ წარმომადგენლებს 7 საათამდე, დაიშალნენ.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მუშათა კლუბების ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ ამ კრების მოწვევას და ასეთი გულგრილობა სამარცხვინო არის,—დავნიშნეთ შემდეგი კრება შაბათს, 7 თებერვალს საღამოს 5 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი № 123). დაბეჯითებით ვთხოვთ ყველა მუშათა კლუბებს და სახალხო უნივერსიტეტს ამ კრებისთვის აუცილებლად გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები მანდატებით ორ-ორი კაცი თითო, გარდა საბჭოს წევრებისა. აგრეთვე ვთხოვთ პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატს გამოგზავნოს თავისი წარმომადგენელი.

ვიმედოვნებთ, რომ ყველა კლუბები სათანადო ყურადღებით მოეპყრობიან ჩვენს მოწოდებას. ყოველ შემთხვევაში, ეს კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი კლუბის წარმომადგენელიც კი დაესწრება და მისი გადაწყვეტილება ყველასათვის სავალდებულო იქნება. განსახილველია ფრიად საჭირო კითხვები.

მონდობილებით, მუშათა კლუბების საბჭოს მდივანი კ. ლაბაური.

ს.-დ. პარტიაში

პარტიული მუშაობა გორის მაზრაში.

უკანასკნელმა გამოსვლებმა ჩვენში გამოარკვია, რომ ფართო მასსა, გლეხობისა არ იცნობდა თანამედროვე მომენტს. ყველგან, სადაც კი ვესაუბრეთ გლეხებს, მხოლოდ ერთი გვესმოდა მათგან: საყვედური, რომ ისინი სრულიად უპატრონოთ არიან და არავინ მიდის მათთან სახელმწიფოს შინაური ამბების გასაცნობათ; მიდიოდნენ ცილის წამებლები და აცნობდნენ ჩვენს მთავრობას ცუდის მხრით, წინააღმდეგის მოქმედი არავინ იყოო. ამიტომ ადგილობრივმა ორგანიზაციამ მოაწყო ორი დიდი მიტინგი მეჯვრისხევის და მასთან ახლო მდებარე სოფლების 5 იანვარს და სოფელ ბერშუეთში 6 იანვარს. საერთო გახდა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მომენტების დაწვრილებით გარკვევა, როგორც არის: რუსეთის დაშლის მიზეზები, მიზეზი და მიზანი ჩვენი გამოყოფისა, ჩვენი საგარეო პოლიტიკა, შინაური წყობილების სისტემა, მოუწყობლობის მიზეზები, სპეკულიაციასთან ბრძოლა და მასთან დაკავშირებული ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა, ფულის ტრიალი, გადასახადები, იარაღის აყრა, ბოლშევიკებზე ვრცლათ, დენიკინზე და სხ.

ყველა ამ კითხვების გარკვევა მიტინგს მეტად აკმაყოფილებდა. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი კვირა დღეს ჩამოსული იყო სოფლიდან, მაინც ბოლომდე უდიდესი ინტერესით მოგვისმინეს. ერთმა მოხუცმა სიხარულით წამოიძახა: „ეგ მართალი ყოფილა თქვენი სიტყვები, რადგანაც თქვენს სიტყვებში ვიგრძენი, რომ სომხები და ქართველები ერთნი არიანო. ჩვენთან კი მოდიოდნენ ტყუილები და გვეუბნებოდნენ, ქართველები თქვენი მტრები არიანო".

ბერშუეთელი ხალხი დიდ[illegible], როგორც მეჯვრისხევის მიტინგს, ისე შემდეგ სულიერად დაკმაყოფილებულნი მხიარული სახით დაიშალნენ.

მაინაური მუშაობის გარდა ადგილობრივი ამხანაგების დახმარებით, შემოვუდექით ს.-დ. ორგანიზაციის მტკიცე საფუძველზე აგებას. ამ მიზნით კოლექტივის პირველი კრება შესდგა 30 დეკემბერს. გარკვეულ იქნა შემდეგი საკითხები: 1) ორგანიზაციის ახალ საფუძველზე მოწყობა, 2) გაწმენდა პარტიისა არა სასურველ პირებისაგან, 3) ფორმა ორგანიზაციისა და სხვა. იმავე საღამოს შესდგა პარტიის წევრთა საერთო კრება, სადაც დაწვრილებით განხილულ იქნა ორგანიზაციის გაწმენდის საკითხიც და ყველა ის კითხვები, რომელიც წინასწარ იქნა განხილული კოლექტივის მიერ. დასასრულ არჩეულ იქნა ორგანიზაციის გამწმენდი საგამომძიებლო კომისია შემდეგი პირებისაგან: 1) ბეგიაშვილი ვასო, 2) საბნიაშვილი მიქო, 3) ბეგიაშვილი მიქო, 4) ბეჟიაშვილი ილიკო, 5) იოსებიძე ილიკო, 6) ბერიანიძე მაქრო.

მეჯვრისხევის ორგანიზაციას [illegible] არის მეჯვრისხევის [illegible]. [illegible] დაყოფილია უბნებად, [illegible] და ყველა [illegible] და სხვა. ყველა უბანი [illegible] თავის იდეურ ხელმძღვანელს. ყველა უბნების იდეურ ხელმძღვანელთა კრებული არის იგივე კოლექტივი. კოლექტივი არის ერთი მთელი საქმეში.

მეჯვრისხევში არის საკუთარი ორგანიზაცია ქალებისა, რომლებიც იჩენენ დიდ ინტერესს პარტიულ მუშაობისადმი. სულ არის ოცდაათამდე ქალი.

ტყვიავის სათემო ზონაში ხალხი სჩივის თემის და მილიციის უმოქმედობაზე.

მიუხედავად დიდი ყინვისა, დიდი მიტინგი შესდგა. ხალხმრავალი თემი იგივე იყო, რაც მეჯვრისხევში. რთული— მოუნდომელ კითხვების დაწვრილებით გარკვევამ ხალხი სულიერად აღზარდა. „სხვანაირად პატრონი კი გვყოლია", ამბობდნენ. 1 იანვარს მოწვეული პირველი პარტიული კრება შესდგა. გაირკვა, რომ ტყვიავში არ იყო არავითარი ორგანიზაცია.

კრებაზე დამსწრენი ჩაეწერნენ ორგანიზაციაში. მაშინვე შეიმუშავეს საწევრო ფული და აირჩიეს ხელმძღვანელი კოლექტივი: 1) ქოჩლი იოსებ (თავმ.), 2) ხაჩიაშვილი გიორგი (ამხ.), 3) კაპანაძე სიმონ (მდივ.), 4) ლომიძე ნესტორ, 5) წიქარიძე ლევან. კანდიდ. 1) გიგუაშვილი სანდრო, 2) ქობულიანიძე პავლე, 3) ბაქრაძე ლევან. ამ ერთ ორგანიზაციაში შედის 50 კაცამდე. ორი კვირის შემდეგ გაიმართა მეორე კრება. კრებაზე დამსწრეთა საქმიანობამ ხიბლისებრ დაგვარწმუნა, რომ ტყვიავის ორგანიზაცია განმტკიცდება და დარაჯათ დაუდგება დაპყრობილ გლეხობას.

მოხეტიალე რაჭველი.

მუშათა შორის

აღმასრულებელ კომიტეტში. 3 თებერვალს ამხ. ხელაძის თავმჯდომარეობით შესდგა პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. განიხილა შემდეგი საკითხები: 1) დელეგატის გაგზავნა რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობაზე, 2) საანკეტო ფურცლები, 3) ჟურნალის ფასის გადიდება, 4) ქალაქის ხმოსნის პროფესიონალური კავშირის წევრად მიღება. 5) ქსანკაში და კოჯორში ინსტრუქტორის გაგზავნა და 6) ხაზინადრის არჩევა.

კრება სასურველად სცნობს რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობაზე დელეგატის გაგზავნას; დელეგატი დაესწრება, როგორც სტუმარი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენელი და პირდაპირ მონაწილეობას არ მიიღებს ყრილობაში. ის სწორ ინფორმაციას გააცნობს საქართველოს მდგომარეობის შესახებ და გაეცნობა რუსეთის მდგომარეობას.

მიღებულ იქნა წარმოდგენილი საანკეტო ფურცელი, მხოლოდ ზოგი საბოლოო შესწორება და სისტემაში მოყვანა პრეზიდიუმს დაევალა.

ქაღალდის უკანასკნელი 60 პროცენტის მომატების გამო ჟურნალის ხარჯები გაიზარდა და დღევანდელი ფასებით ის თვალსაჩინო დეფიციტს სტოვებს, ამიტომ დადგენილ იქნა გაზეთ „მუშათა ცხოვრების" ფასი 6 მანეთამდე გადიდდეს.

აღმასრულებელ კომიტეტს ცენტრიდან მოსდის შეკითხვები—შესაძლებელია თუ არა ქალაქის ხმოსანი მიღებულ იქნეს პროფესიონალური კავშირის წევრად. კრებამ გაარკვია ეს საკითხი და ქალაქის ხმოსანთა პროფესიონალურ კავშირის წევრად დაშვება შესაძლებლად სცნო.

ქსანკაში არსებულ ქარხნებს და აგურის ქარხნებში მომუშავეთა კავშირის მოწყობა დაევალა ამხ. ილ. ბალიაძეს, რომელიც ორ დღეში უნდა გაემგზავროს ხსენებულ კავშირის მოსაწყობად. კოჯორში კი დარაჯების კავშირის მოწყობას კრება ავალებს ამხ. თოდუაძეს.

კომიტეტის ხაზინადრად არჩეულ იქნა ამხ. განიზიძე.

პროვინცია

ზემო-გომი (ქართლი). იანვრის 29-ს გომის ერობის კანცელარიაში შემოვიდა ორი გლეხი, რომლებმაც ტირილით განაცხადეს: კომისარი ჩვენს შვილებს ცემით ჰკლავს, თუ ვინმე ხართ ქრისტიანი—გვიშველეთო. ეს განცხადება გამგეობამ გულდასმით მოისმინა და უფრო გამოჰკითხა გლეხებს. ამის შემდეგ გამგეობამ მოიწვია რამდენიმე საზოგადო მოღვაწე და ყველანი ერთად წავიდნენ კომისარიატში საქმის გამოსარკვევად. როდესაც კომისარიატში მივიდნენ, იქ კომისარი აღარ დაუხვდათ, სადღაც წასულიყო; კომისარიატში ნახეს სამი მილიციელი და სამიც სახე დამახინჯებული ტუსაღი, რომლებიც შეკითხვაზე პასუხის მიცემას ვერ ახერხებდნენ, გული ყელში ებჯინებოდათ და ცრემლების წვეთებით სახეს ასველებდნენ. როგორც გამოირკვა, თურმე კომისარი და მისი მილიციელები სულის ამოხდამდე სცემდნენ ტუსაღებს; ერთი ტუსაღისთვის ფეხის გულზე ჯოხით იმდენი უცემიათ, რომ საბრალოს ფეხის გული დასივებოდა და იმის გამო ფეხს ძირს ვეღარ ადგამდა.

ამ საქციელმა ყველანი ძლიერ შეაშფოთა. ერობის გამგეობამ ეს ამბავი მაშინვე დეპეშით აცნობა გორის მაზრის მილიციის უფროსს.

გომის ერობის გამგეობა არა ერთხელ განუცხადებია ბ. კომისრისთვის, სოლოღაშვილისთვის, რომ ძველი რეჟიმი ნუ შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ის ასე ამბობდა: მე ჩემს უფროსს ვემორჩილები, ხოლო არავისი. მიუხედავად ამისა, ჩვენ არა ვართ დარწმუნებული იმაში, რომ მისი პირდაპირი უფროსი მას დაიფარავს; ხალხი ცემით გაწამებულა. მის უფროსს აღმდეგ ვუცხადებთ, რომ სადაც დემოკრატიული წყობილება არის, იქ მოქალაქის პიროვნების ხელშეუხებლობა სასტიკად დაცულია და ეს უნდა სცოდნოდა ბ. კომისარს.

მაგრამ ბ. გიორგი სოლოღაშვილი, როგორც კომისარი—ანგარიშს არ უწევს არავის, მხოლოდ ის თავის სურვილის კაცია.

უკეთეს კარგად იქნება, და ის ყველაზე უკეთესად კომისარმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ გვყავს მოსამართლენი, გვაქვს სასამართლოები და თუ ვინმე რამე დაანაშაულა კომისარს ის სასამართლოს კარებამდე უნდა მიიყვანოს და სასამართლომ მისცეს თვითონ დასჯა, თუ რას მიუზღავს.

ხარდალი.

ხაშ. ჯუმათი (გურია). იანვრის 27, გზისპირის პირველ დაწყ. უმაღლეს სასწავლებლის დარბაზში შესდგა ჯუმათის მომხმარებელი საზ. „შრომისთვის" წევრთა წლიური კრება, კრებას ჰქონდა თავმჯდომარეობით და ვასილი [illegible] მდივნობით. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ გააცნო კრებას შემდეგი ანგარიშები. აქტივი: კასაში ნაღდი ფული 66877 მან. 35 კ., საქონელი 92879 მ., 65 კ., საპაიო და საწევრო თბილისის, ქუთაისის და ლანჩხუთის კავშირებში 1908 მ., 35 კ.; ავან. დარჩენილი თბილისის კავშ. 725 მ.; ინვენტარი ძველი და ახალი 300,000 მან; ნისია ძველი და ახალი 6560 მ. 15 კ. ბალანსი 468950 მან. 50 კაპ.; პასივი: ვალები სხვადასხვა პირების 97453 მ. 90 კ., საპაიო და საწევრო შემოსული 18741 მ., სათადარიგო და ძირითადი თანხა 301937 მ, 60 კ; საშკოლამდელოს გაცემული 500 მ.; 1919 წლის 24 იანვრიდან 1920 წლის 27 იანვრამდე, ესე იგი, ერთი წლის წმინდა მოგებები 50818 მან., სულ 468950 მან. 50 კაპ.

კრებამ ერთხმათ დაამტკიცა ეს ანგარიშები და მადლობა გამოუცხადა გამგეობას და აგრეთვე ნოქრებს. შემდეგ კრებამ ამ მოგებიდან გადადო ჯუმათის საზოგადოებაში არსებულ სამკითხველოების სასარგებლოთ 3941 მან. 25 კაპ. შემდეგ კრებამ გამგეობაში აირჩია შემდეგი პირები: 1) ბენია გოტუაში, 2) ნიკო ქავჭაძე, 3) გრიგოლ დოლიძე, 4) ვიქტორ დუმბაძე, 5) სერაფიონ მოსიაშვილი. სარევიზიო კომისიაში: 1) ირაკლი ნაკაიძე, 2) მიშა ქყონია და თედორე გიგინეიშვილი. მახლობელი.

წერილი რედაქციის მიმართ

-ნება მიბოძეთ უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქვემო მოხსენებულ პირთ, რომელთაც 20 და 21 დეკემბერს გასულ 1919 წ. რუსთაველის ჩვენი პროფესიონალური (პროფტეხნიკის კურსით) სკოლის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ალეგრისა და ლოტერეა-საღამოს გამართვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს და დიდი დახმარება გაუწიეს მას: ქ-ნთ: ნ. ხუციშვილს, ექიმ. ბოქუჩავას, ნ. სახაბტიშვილისას, ალ. ტულეშვილის, ეპრ. ჯაყელიძისას, ლიდ. სვანიძის, სონა ოხიძეს, ნ. გაბუნიასას, ნ. გვეუხს, ნ. პარკაიას, ნ. ქ ხარაძეს, ქ. თურქიას, ვერა ჯაყელიძეს, და ბ ნ. გ. მარგველიძეს. განსაკუთრებით დიდ მადლობას ვუცხადებ ადგილობრივი ხაზინის გიმნაზიის დირექტორს ბ-ნ. კანდელაკს, რომელმაც უანგაროდ დაუთმო სკოლას საღამოს გასამართავად გიმნაზიის შენობა, და მოქ. სიმონ თარხნიშვილს და ვასილ ქადაგიძეს, რომელთაც ლატარიის სკოლის ინტერესები თავიანთ პირად ხარჯებზე მაღლა დააყენეს და დაგვითმეს მათი საკუთარი კინო, რითაც შეძლება მოგვეცა ცუდი ამინდის გამო, ლატარიაში გასათამაშებელი საქონელი გამოგვეფინა კინოში, რომლის ღირებულება შეადგენდა 9000 მან. ლატარიის ბილეთების გაყიდვით შემოვიდა სულ 16080 მანეთი, [illegible] საღამომ, ცუდი ამინდის გამო, დეფიციტი მოგვცა, შემოვიდა მხოლოდ 2500 მანეთი—დახარჯა 2900 მან. ასე რომ, 400 მანეთი მივაკლდა ლატარიის შემოსავალს: სკოლის მიერ დახარჯებული ნაწარმოების ღირებულება, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, უდრის 9000 მ.ნ., დეფიციტის დასაფარავად 400 მ., რომელიც შეადგენს 9400 მან. მოგება დარჩა სკოლას (16080—9400) 6680 მან. [illegible] მანეთი.

ვიმედოვნებ, რომ ზემოხსენებულნი პირნი ქველმოქმედებას არ დაიშურებენ თავიანთი ენერგიას და შრომას ახალი სიმპატიური დაწესებულების საკეთილდღეოდ.

ფოთის ქალთა პროფესიონალური სკოლის გამგე ნ. ლოლუა.

ცნობები

ს. დიდი ჯიხაიშის მცხოვრებმა სამტრედიის რაიონის სამუელ ლეკაიძე მელქისედ [illegible] კავკასიის თოფის ცხენოსან პოლკში 4 ხოტინიში, რომელიც გაგზავნილი იყო ავსტრიის ფრონტზე. იქ დაიჭრა და მოიწერა— როდესაც კარგად გავმხედეთ წამოვიდა და სწორებიც მიიღეს მისგან არ გაუგიათ დიდი ხნის რევოლუციის შემდეგ მათი პოლკები ყველა წამოვიდნენ თბილისში. კომანდირი კოლესნიკოვი ვეკითხებოდი, მითხრა: ის გზაში დარჩა კიევშიო. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ, გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სადგურ თელავი. კანდელაკი გიორგი დარისპანიძეს.

განცხადებანი

ქუთაისში

ექიმი აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სნებით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელმობის, ქალების ექიმობა „ტუბერკულინით" და „თერაპიულად", ვენერიული: სიფილისი და მისი შეშხაპუნება—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სიმაშვილის სახლში. (კუპ. 60)

დოქტორი მედიცინისა, [illegible] ბერლინის და [illegible] კლინიკებისა

ვ. ვ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, პლევრისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წყალთ კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. პლევრის ოპერაცია. პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 28, ტელეფ. 7—92. 8280—

ექიმი

გ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის თიანეთის ახლო. (249)

ექიმი ლ. ბ. ხახანაშვილი.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—8 საათამდე. ჩუბინაშვილის ქუჩა № 8 აფთიაქის ახლო.

ექიმი ს. დ. კეკელიძე

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ"-ის პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი

ნ. ლ. ცერიაშვილი

იღებს შინაგან, ხანგებით და ქალთა ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—4 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმ ნავასარდიანის

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დაარსებ. 1880 წ.

ყოველ დღე კვირის გარდა.

„606" და „914" 11—12 საათ.

ხ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურ. და ვენ. ავად. (სიფილისი).

ვ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინაგანი და საბავშვო ავად. [illegible]

მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.

კარპენკო-ბედროშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.

ვ. ა. ხარჯეკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).

ტერ-გრიგორიანი—12—1 ს. შინაგანი და ბავშვთა.

ღარიბებს დარიგება უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი

კერძო სამკურნალო

ექ. დონხინისა

(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 1

ტელეფ. 5—97

(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები. (თ. 218)

ექიმი ვ. მ. მანასერიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე ბარიატინსკის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ).

ექიმი ქალი ვ. ხ. ბებურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იმერელოვის ქუჩა № 3[illegible] (თ. 3065).

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 2463)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იმერელოვის ქუჩა № 11. [illegible] კლუბის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3325)

ექიმი [illegible]

სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.